სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 11 თებერვალი | 1994 № 8 (83) | ფასი 4000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ქართველებს ერთი შანსი ყველასთან აქვთ

გერმანული პრესა ჩვენს შესახებ

3 ოთხი ჩვენიანი ბუნდესლიგებში

შაბათს ჩემპიონატი განახლდება

5 გრაფმა ისევ მოიგო

გუსტაფსონი ათეულში შეიჭრა

ზამთრის XVII ოლიმპიადა,

რომელიც ხვალ ნორვეგიაში, ლილეჰამერში გაიხსნება. ჩვენთვის სალტაპო იქნება: ხუთი ქართველი სპორტსმენი – ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე, სამთომოთხილამურეები ლევან აბრამიშვილი და ზურაბ ჯიჯიშვილი, მოცეგაკვეები ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი პირველად გამოვა ოლიმპიადაზე თავისი ქვეყნის სახელით! საზეიმო გახსნაზე საქართველოს დროშას კახა ვახტანგიშვილი გამოიტანს.

ოლიმპიადაზე „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის ილია ბაბუნაშვილის რეპორტაჟებს მომდევნო ნომრიდან იხილავთ



საქართველო – სლოვენია 0:1

მალტაში მიმდინარე ოთხი ეროვნული ნაკრების ტურნირის პირველი ტური ჩვენი ეროვნული გუნდისთვის წარუმატებელი გამოდგა. როგორც ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გვითხრა, სლოვენიასთან მატჩი ქართველების უპირატესობით წარმართულა, თუმცა გოლის გატანა ჩვენს მეტოქეებს მოუხერხებიათ. ტურის მეორე მატჩში მალტამ და ტუნისმა ფრედ 1:1 ითამაშეს.

8 თებერვალი, ლა-ვალეტა, „ტა-ქალი“

საქართველო — სლოვენია 0:1

საქართველო: დვალაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე (ყაველაშვილი 73), ყიზილაშვილი.
სლოვენია: სიმეონოვიჩი, გალიჩი, პოლშაკი, კრიეანი, ზიდანი, კატანეცი, ზაპოვიჩი, იერშანიჩი, ზულიჩი, ფლორიანჩიჩი, კლიპა.
გოლი: კლიპა (80)
გაფრთხილება: რევიშვილი, გოგიჩაიშვილი, ზიდანი
მსაჯი: ლორი სამუტი (მალტა)

შაბათს ვერის ბალში

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტური იწყება, რომელმაც მედლებისათვის მებრძოლი ექვსეული უნდა გამოავლინოს. კალათბურთის ქომაგებს მშფოთვარე დღეები დაუდგებათ!

თამაშების განრიში ასეთია:
12 თებერვალი. „ჯიხვი“ — „კაქტუსი“, „აზოტი“ — „ჯიქი“, „ვითა“ — „თორსი“. **13 თებერვალი.** „ჯიხვი“ — „შევარდენი“, „თბილისი“ — „მერანი“, „დინამო“ — „კაქტუსი“. **14 თებერვალი.** „აზოტი“ — „მერანი“, „ჯიხვი“ — „ვითა“, „ჯიქი“ — „თორსი“. **15 თებერვალი.** „დინამო“ — „შევარდენი“, „ჯიხვი“ — „ჯიქი“, „თბილისი“ — „კაქტუსი“. **16 თებერვალი.** „თორსი“ — „შევარდენი“, „ჯიხვი“ — „მერანი“, „ვითა“ — „აზოტი“. **17 თებერვალი.** „აზოტი“ — „შევარდენი“, „დინამო“ — „მერანი“, „კაქტუსი“ — თორსი“. **18 თებერვალი.** „დინამო“ — „ჯიქი“, „ვითა“ — „თბილისი“. **19 თებერვალი.** „თბილისი“ — „ჯიქი“, „თორსი“ — „მერანი“, „კაქტუსი“ — „აზოტი“. **20 თებერვალი.** „შევარდენი“ — „თბილისი“, „ვითა“ — „დინამო“.

მატჩები 13.00 14.30 16.00 საათზე დაიწყება.

სამი გამოტოვებული მატჩი, რომლებიც თებერვლის დასაწყიში უნდა გამართულიყო, თვის ბოლოსთვისაა გადატანილი.

კვირას მინეაპოლისში

„ოლ სტარზის“ ყოველწლიური მატჩია. მასში მონაწილე 24 ვარსკვლავს კსოციაციის ყოველდღიურ ამბებთან ერთად მეოთხე გვერდზე მერაბ რატიშვილი გაგაცნობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობი და უცნობი ლეგიონერები

„თანამეგობრობის თასზე“ „დინამო“ — „ყარაბაღის“ მატჩის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია ჩემს გვერდით მჯდომმა ორმა შუახნის მამაკაცმა, რომლებიც თათრულად საუბრობდნენ და... „დინამოს“ გულშემატკივრობდნენ. მათთან მყოფი ახალგაზრდა კაცი ბათუმელი ბიზნესმენი დავით კლდიაშვილი გამოდგა, რომლის მეშვეობითაც გავესაუბრე „დინამოს“ თათრულენოვან გულშემატკივრებს. ისინი „ტრაბზონსფორის“ დირექტორატის წევრები გამოდგნენ: მეჯიდ სარი კლუბის ფინანსებს განაგებს, სუათ ოზიაზიჯი კი მწვრთნელის კონსულტანტია. თურქები აღფრთოვანებით საუბრობდნენ ტყუპ არველაძეებზე. მათგან შევიტყვე, რომ „ტრაბზონს“ ანატოლიაში, ქალაქ იზმირში ორი საკონტროლო მატჩი ჩაუტარებია: მადრიდის „ატლეტიკოსთან“ 1:0 მოუგია, დანიის „ოდენსესთან“ კი ფრედ 1:1 უთამაშია. პირველ მატჩში შოთას გაუტანია გოლი, მეორეში — არჩილს. „ტრაბზონს“ სოჭის „ჟემჩუჟინასთან“ თამაშზე უარი განუცხადებია. გარდა ამისა, იანვრის ბოლოს თურქეთის თასის მეოთხედფინალში „ტრაბზონს“ 7:1 მოუგია „სარიერისთვის“ და ორი გოლი არჩილს შეუგდია, შოთას ცხვირი სტკიებია და ის მატჩი არ უთამაშია. ნახევარფინალში „ტრაბზონის“

ყოფილი დინამოელი გოჩა ქოქოშვილი ვლადიკავკაზის „სპარტაკში“ ითამაშებს

გარდა „გალათასარაი“, „ბეშიქთაში“ და „ქოჯაელისპორი“ გავიდნენ. „ტრაბზონმა“ ნახევარფინალის პირველი მატჩი დათმო „ბეშიქთაშთან“ 1:3, თუმცა არჩილის ბრწყინვალე გოლის წყალობით იგებდა.

მათი უფროსი ძმა რეზო კარგად შეეწყო „კიოლნს“. დორტმუნდში მინი-ფეხბურთის ტრადიციულ ტურნირზე რეზომ საუკეთესო ფორვარდისა და ბომბარდირის პრიზი მიიღო (7 გატანილი გოლი) — 3 000 გერმანული მარკა. აი, რას წერს რეზოზე ლიტველთა ნაკრებისა და „ჰამბურგის“ სააუკეთესო მოთამაშე ვალდას ივანაუსკასი ერთ-ერთ ინტერვიუში: „მინი-ფეხბურთს გერმანიაში ყველა უფრთხის, თვით ბერნდ შუსტერიც კი ერიდება პარკეტზე თამაშს. ერთადერთი ფეხბურთელი, რომლისთვისაც არ არსებობს შიშის გრძნობა, „კიოლნის“ თავდამსხმელი რეზო არველაძეა. მან ბრწყინვალედ იასპარეზა მინი-ფეხბურთის ტურნირზე და კლუბისაგან პრემიაც კი დაიმსახურა“.

გერმანიაში, ბერლინის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის ერთ-ერთ გუნდში ობერლიგაში დაიწყებენ ახალ სეზონს რუსთავის „გორდას“ ყოფილი მცველი გია ფირცხალავა და ლევან ყიფიანი. ამ უკანასკნელის ვორმაციელი თანაგუნდელი მელორ ბიგვავაც ობერლიგაში ისასპარეზებს, ოღონდ სხვა გუნდში. „ვორმაცია ვორმსი“ გაკოტრდა და მელორი და ლევანი იძულებულნი გამხდარან სხვა კლუბი მოეძებნათ. სწორედ ამიტომ არ შედგა მიხეილ ჯიშკარიანის გადასვლა გერმანიაში. ორი დღის წინ ოთარ კორდალიძემ დამირეკა უნგრეთიდან, სადაც მისი გუნდი „ვინერ შპორტკლუბი“ ორი კვირით იმყოფება შეკრებაზე. ოთარის ახალი გუნდი პირველი წრის შემდეგ ავსტრიის პირველ დივიზიონში უკანასკნელ ადგილზე იმყოფება და მეორე წრეში ლიგაში დარჩენა აქვს დასახული მიზნად. ბოლოსწინა გუნდი „შპორტკლუბს“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. არადა, ავსტრიაში უმაღლესი დივიზიონიდან მხოლოდ ერთი გუნდი ვარდება. „შპორტკლუბი“ ავსტრიის ოთხგზის ჩემპიონია, ერთხელაც ქვეყნის თასი აქვს მოპოვებული, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ და კლუბის ახალ მეპატრონეებს — ავსტრიაში ცნობილ მილიონერებს როზენაუსა და პეტოდნიკს განზრახული აქვთ კლუბის ძველი დიდების დაბრუნება.

მოსკოვის „დინამოს“ მცველს, ალექსანდრე ნოვიკოვს ქართველი გულშემატკივარის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მისი „მეცადინეობით“ გამოტოვა ხუთი წელი ვლადიმერ გუცაევმა თავისი თხუთმეტწლიანი კარიერიდან. ნოვიკოვმა კი ორიოდ წლის წინ დაანება თავი ფეხბურთს და დიდი წარმატებასაც მიაღწია მწვრთნელობისას — ვლადიკავკაზის „სპარტაკმა“ რუსეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და უეფა-ას თასის საგზურიც მოიპოვა. ამჟამად ნოვიკოვი მოსკოვის საფეხბურთო კლუბს, „ინტერროსს“ უდგას სათავეში. ამ გუნდმა შარშან მესამე ადგილი დაიკავა პირველ ლიგაში, წელს კი უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება აქვს დაგეგმილი და კლუბის მეპატრონე ფირმა „ინტერროსი“ ამისათვის სახსრებს არ იშურებს. სასიხარულოა, რომ „ინტერროსის“ თავდასხმაში თითქმის გადაწყვეტილია ოცი წლის ქართველ თავდამსხმელის, ზურაბ უშვერიძის თამაში. ზურაბი ცნობილი ბავშვთა მწვრთნელის, აწ განსვენებული ომარ უშვერიძის ვაჟიშვილია. იგი „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა, შემდეგ საფრანგეთში, ქალაქ რუანის ამავე სახელწოდების კლუბში იყო მივლინებული სტაჟირებაზე. მარტის დასაწყისში საბოლოოდ გაირკვევა უშვერიძის კონტრაქტის საკითხი.

კიდევ ერთი ზურაბი, ზოოვეტინსტიტუტის „კრწანისის“ მცველი, ზურაბ კენჭუაშვილი ცდის ძალებს რუსეთის კლუბში. იგი მარტიდან აღბათ მეორე ლიგის დასავლეთ ზონაში, ქალაქ კოლომნის „ვიქტორ-ავანგარდში“ გამოვა.

თბილისის „მერანისა“ და „დინამოს“ მცველი გოჩა ქოქოშვილი ვალერი გაზაევთან ითამაშებს ვლადიკავკაზის „სპარტაკში“. გოჩა ორიოდე დღით იყო ჩამოსული მოსკოვში და თბილისის „დინამოს“ თამაშებს ესწრებოდა. მან მითხრა, რომ გაზაევს „სპარტაკში“ უკვე გადმოუყვანია მირჯალალ კასიმოვი („ფახტაკორი“), ბახვა თედეევი („დინამო“ მოსკოვი), ასადოვი („ნეფტჩი“ ბაქო). გოჩას თქმით „სპარტაკი“ 19-დან 28 იანვრამდე ხორვატიაში ყოფილა შეკრებაზე, 13-დან 26 თებერვლამდე კი ესპანეთში, ქალაქ კადისში გაივლის მზადებას, სადაც 3-4 თამაშს ჩაატარებს. 28 თებერვლიდან 10 მარტამდე კი კვიპროსზე, ან კვლავ ესპანეთში გაემგზავრებიან. ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა სახსრებს არ იშურებს დიდი გუნდის დასაყენებლად.

ბადრი სპანდერაშვილი „როსტსელმაშის“ წამყვან მოთამაშედ და საუკეთესო ბომბარდირად ითვლებოდა. ამ კლუბმა შარშან რუსეთის უმაღლესი ლიგა დატოვა და ბადრიმაც გადაწყვიტა გამოიცვალოს კლუბი: იგი ახალ სეზონს სტავროპოლის „დინამოში“ დაიწყებს, სადაც ადრე თამაშობდა.

სოჭის „ჟემჩუჟინას“ ნახევარმცველი რომან ხაგბა მალაიზიაში გაემგზავრა და იქაურ კლუბში ითამაშებს.

სოხუმის „ცხუმის“ თავდამსხმელი, 22 წლის თეიმურაზ გადელია შარშან ნოემბერში ვოლგოგრადს გაემგზავრა და „როტორში“ სცდიდა ბედს. იგი ახლახანს დაბრუნდა თბილისში და „ანცათან“ ხუთთვიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი თქმით ვოლგოგრადში კარგად შეხვედრიან და „როტორის“ მთავარ მწვრთნელს, სალკოვს მისი გუნდში დატოვება განუზრახავს. ნიდერგაუსი, ნეჩაევი, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვერეტენნიკოვი, გერაშჩენკო და სხვა ფეხბურთელებიც კმაყოფილნი იყვნენ ახალწვეულის თამაშით. მაგრამ გადელიას ძველი ტრავმა — საბარდულის გაჭიმვა გახსენებია და კონტრაქტი „როტორთან“ აღარ შემდგარა. გუნდი საუდის არაბეთში გამგზავრებულა შეკრებაზე, გადელია კი დაუტოვებიათ. იგი მოსკოვში წასულა და „ინტერროსში“ დაუწყია ვარჯიში ნოვიკოვთან, შემდეგ კამიშინის „ტექსტილშჩიკიც“ დაინტერესებულა მისით, მაგრამ ამ დროს გადელიასთვის გიგა ნორაკიძეს მიუწვდენია ხმა და იგიც მყისვე დათანხმებულა საქართველოში დაბრუნებაზე. თბილისში მას სოხუმიდან ლტოლვილი მშობლები ელოდებოდნენ, „ანცში“ კი გიგა ნორაკიძე და ყოფილი თანაგუნდელები — ძმები ზვიად და გიზო ჯელაძეები.

მიხეილ ჯიშკარიანმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი კიევის „დინამოსთან“. კლუბი გერმანიაში გადიოდა შეკრებას, ამის შემდეგ დაგეგმილი ტურნე არაბთა გაერთიანებული საამიროებში ჩაიშალა და „დინამო“ კვლავ გერმანიას გაფრინდა. ერთკვირიან შუალედში კიევში მიშა ჯიშკარიანს მეუღლემ, თამრიკო ვარდოსანიძემ ჩააკითხა. მისი თქმით, მიშა კარგად შეეწყო კლუბს და იოანეფ საბო კმაყოფილია ქართველი თავდამსხმელის თამაშით, რომელმაც გერმანიაში ორ საკონტროლო ჩატჩში გოლიც გზიტანა. გერმანიის შემდეგ „დინამო“ უნგრეთში მიემგზავრება შეკრებაზე, მარტის დასაწყისში კი კიევში დაბრუნდება და ჩემპიონატის მეორე წრეს განაახლებს. ჯიშკარიანების ოჯახი ჯერ-ჯერობით სასტუმრო „უკრაინას“ ლუქსში იცხოვრებს და მანქანა მოემსახურება. კონტრაქტის ბოლოს მიშა მანქანას და ბინას მიიღებს.

და ბოლოს ერთი სენსაციური ცნობა: შეიძლება მალე ბელგიის ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ითამაშოს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ნაკრების „ჩემპიონის“ ნახევარმცველმა 25 წლის დავით პეტრიაშვილმა. დათო თავის დროზე საქართველოსა და სსრკ ნაკრებში, მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა. ბოლო დროს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უცხოეთის განყოფილებაში მუშაობდა, „ჩემპიონში“ თამაშობდა თბილისის პირველობაზე ერთი თვით მაღლა იდგა ყველა მონაწილეზე. როგორც შევიტყვეთ დათოს უკვე ხელიც მოუწერია კონტრაქტზე ერთ-ერთ ბელგიურ კლუბთან.

მამუკა კვარაცხელია

ოთხ და თორმეტ მარტს საქართველოს თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება, 8 მარტს ჩემპიონატი განახლდება, მანამდე კი გუნდები საკონტროლო თამაშებს მართავენ.

შევარდენი 1906 — ანცი 2:0, შევარდენი 1906 — ანცი 0:0, ანცი — ბაჩო-მერანი 2:1, დინამო — გურია 2:1, დინამო — კრწანისი 5:1, კრწანისი — ნორჩი დინამოელი 2:2, კრწანისი — თეთრი არწივი 4:3, თეთრი არწივი — თეთრი არწივი-2 1:1, შევარდენი 1906 — თეთრი არწივი 4:1

«საქართველოს შანსი ყველასთან აქვს»

EURO-96

გერმანული პრესა განაგრძობს ევროპის ჩემპიონატის წილისყრის შედეგების კომენტირებას. და რასაკვირველია, ქართულმა ფეხბურთმაც უფრო დიდი ადგილი დაიკავა პრესის ფურცლებზე, ვიდრე აქამდე, როცა გერმანელი გულშემატკივრის ცოდნა ჩვენებურ ფეხბურთზე კახი ცხადაძეთი შემოიფარგლებოდა. გაზეთები აქვეყნებდნენ სხვადასხვა ინფორმაციას საქართველოზე — მოსახლეობის რაოდენობით დაწყებული წლევანდელი ჩვენი ჩემპიონატით, დამთავრებული. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ გერმანელები VII შესარჩევ ჯგუფზე.

Nationaltrainer Chiwadze

Georgien: Gegen alle eine Chance

Kalle Rummenigge drehte sich um. „Mensch, dieses Profil kenne ich doch. Den Schnauzbart, die Säbelbeine.“

lacht, wenn man fragt, wie stark der Fußball in Georgien ist. „Wir hatten noch keine offiziellen Länderspiele. Aber immer-

er in der Bundesliga: Kachaber dse, der 25jährige Georgier, bei der rter Eintracht, Yordan Letschkov aus en (26) im HSV- nd Altin Rraklli im SC Freiburg anien. Ende No- 1992 war No- chalkazi, Präsi- es georgischen verbandes, auf ng des DFB eine in Deutschland. Wir kennen uns seit en, und mit meinem Stuttgarter Kolle-

Rang eines Feiertages erhoben wor- Neonazis hat's gefreut, daß man si wichtig hält. Das Zurückweichen vo hat unsere Ges in den letzte zehnten niem stärkt, stets schwächt. Ha politische blieb mal wiede genen Traditi Daß sich der D viele wehrhafte Demokraten mit di pitulation vor der Gewalt nicht abfin

Achalkazis Wunschtraum

ვრებული. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ გერმანელები VII შესარჩევ ჯგუფზე.

ეგიდიუს ბრაუნი (გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტი): იოლი ჯგუფი არაა: ბულგარეთის ძლიერი გუნდი ჰყავს, უელსსაც ბევრი გაუმწარებია, საგონებელში გვაგდებს ის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც საქართველოს ნაკრებს ჰყავს. მაგრამ მე მაინც მოხარული ვარ, რომ ეს მოწინააღმდეგები გვერგო.

ფრანც ბეკენბაუერი: დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ უელსსა და ბულგარეთს.

ანდრეას ბრემე: რთული გამოცდის ჩაბარება მოგვიწევს. ბულგარეთთან ალბათ გაგვიჭირდება, მოლდოვა კი არც ვიცი, სად მდებარეობს, მაგრამ მე რა? ევროპის ჩემპიონატზე ხომ მე ალარ ვითამაშებ.

მთავარი მაინც ისაა, რას ფიქრობს გერმანელთა მწვრთნელი **ბერტი ფოგთსი**, რომელთანაც ინტერვიუ „კიკერმა“ დაბეჭდა.

— კმაყოფილი ხართ მოწინააღმდეგებით თუ უფრო იოლს ელოდით?

— ყველაზე კარგი იქნებოდა შესარჩევი ტურნირიდან თავისუფალი რომ ვიყოთ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, ამიტომ ამ შედეგით უკმაყოფილო არა ვარ.

— დაგვიხასიათეთ მოწინააღმდეგენი.

— ძველი ნაცნობები შეგვხვდნენ. უელსს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ევროპის წინა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ვეთამაშეთ. ალბანეთთან არასასიამოვნო მოგონება მაკავშირებს: 1967 წელს ტირანაში ნათამაშებმა ფრემ (0:0) საშუალება არ მოგვცა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გვეთამაშა. საქართველოსა და მოლდოვაზე კი არაფრის თქმა არ შემიძლია.

— ახლა ახალი წესები: მოგებაზე 3 ქულა და დამატებითი დროის პირველ გოლამდე თამაში. რა აზრის ხართ ამაზე?

— სამ ქულას კიდევ არა უშავს, მაგრამ პირველ გოლამდე თამაში აღმაშფოთებელია. ვთქვათ, გუნდმა 91-ე წუთზე გოლი გაუშვა, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას შანსი დარჩენილ 29 წუთში ეს გამოასწოროს?

— საქართველოსა და მოლდოვაში დაძაბული სიტუაციაა...

— ეს მე არ მაღელვებს. უეფა არ დაუშვებს, რომ იქ ჩასულ გუნდებს ხიფათი შეექმნათ.

გერმანული ჟურნალ-გაზეთები საქართველოს შესახებ ინფორმაციის უმეტეს ნაწილს იქ მოთამაშე ჩვენი ლეგიონერებიდან იღებენ. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გიორგი ქინქლაძე სხვათაშორის ამბობს: „ძალიან მიხარია, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ჩვენთან ჩამოვლენ. ისინი ფავორიტები არიან, ჩვენ ნაკრებს კი მეორე ადგილის შანსი აქვს“.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ გარკვეული პრობლემები უკვე შეიქმნა: ინგლისის კლუბები, რომელთა სტადიონებზეც ჩატარდება მატჩები, უკმაყოფილონი არიან შემოსავლის იმ პროცენტით (10), რომელიც უეფამ მათ გამოუყო. ოთხშაბათს „ლიდს იუნაიტედმა“ მოხსნა თავისი სტადიონი „ელანდ როუდი“ იმ სიიდან, სადაც 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებელი ადგილები სწერია. სულ შერჩეულია რვა სტადიონი: „ელანდ როუდი“ („ლიდსის“ სტადიონი), „ენფილდ როუდი“ („ლივერპულის“), „ოლდ ტრეფორდი“ („მანჩესტერ იუნაიტედის“) „ვილა პარკი“ („ასტონ ვილა“), „სენტ-ჯეიმს პარკი“ („ნიუკასლი“), „ჰილსბორო“ („შეფილდ უენსდეი“), „სიტი გრაუნდი“ („ნოტინგემ ფორესტი“) და „უემბლი“. „ლიდსი იუნაიტედის“ მდივანმა ლესლი სილვერმა ამ კლუბების სახელით განცხადება გააკეთა, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: ფედერაცია, სასტუმროები, რესტორნები და საერთოდ ყველა, ჩემპიონატზე ფულს გააკეთებენ, კლუბები კი მიზერულ 10 პროცენტს როგორ დავჭერდეთო. მოკლედ, სიტუაცია გარკვევას მოითხოვს და კლუბების წარმომადგენლები მომავალ კვირას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცებს უნდა შეხვდნენ.

უელსის ნაკრების მწვრთნელად ტერი იორატის ნაცვლად ჯონ ტოშაკის დანიშვნას ერთი პირობა გაუნაწყენებია ნაკრებისა და „ლივერპულის“ ბომბარდირი, 32 წლის იან რაში, მაგრამ მერე შერიგებულა ხვედრს — ქვეყნის ნაკრებში თამაში ის მოვალეობაა, ქომაგებმა რომ დამაკისრესო.

ფეხბურთის რუკასთან

ტაილანდის დედაქალაქ ბანგოკში ორშაბათს ოციათასი კაცი დაესწრო აზიის საკლუბო ჩემპიონატის ფინალს, რომელშიც ადგილობრივმა „ტაი ფარმერზ ბენკმა“ 2:1 მოუგო ომანის საამიროს „ომანი კლაბს“. არაბებს მეორე ნახევარში ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ბურთი კარის ხარიხას მოახვედრეს. მესამე ადგილისათვის იაპონიის „იომიური ვერდიმ“ 4:1 აჯობა ჩინეთის ჩემპიონ „ლიანინგს“.

პორტუგალიის ჩემპიონატში ლისაბონის „ბენფიკამ“ 2:0 მოუგო „პორტუს“ და სამი ქულით დაწინაურდა. გამარჯვებულთაგან ბურთები შეაგდეს ალტინ დელვენიმ და რუი კოშტამ, პორტუელი ფერნანდო კოუტუ კი მოედნიდან გაძევეს კარლოს მოზერისთვის ფეხის ჩარტყმის გამო.

ჰოლანდიის პირველობაზე სეზონში მეორედ დამარცხდა ლიდერი ამსტერდამის „აიაქსი“. მას „პსვ ეინდჰოვენმა“ მოუგო. თავი გამოიჩინა განელმანი ლემპტიმ, რომელიც ეინდჰოვენს ბელგიის „ანდერლეხტმა“ სეზონის ბოლომდე ათხოვა. განულმა ორი ბურთი გაიტანა. თითოჯერ გამოიჩინეს თავი ნაუმანმა და ვან ტიხტმა. ბოლო რვა სეზონში „პსვ“-მ „აიაქსს“ მეექვსედ მოუგო.

იტალიის თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „სამპდორიამ“ 2:1 სძლია „პარმას“ ინგლისელი პლატის „მაკრატელათი“ გატანილი გადამწყვეტი გოლის წყალობით, თუმცა კი პირველი ტაიმის შემდეგ აგნებდა. სერია „ბ“ წევრმა „ანკონამ“ კი 1:0 მოუგო „ტორინოს“. სპასუხო მატჩები ორი კვირის თავზე გაიმართება. ამსობაში გადადგა „ინტერის“ მწვრთნელი ოსვალდო ბანიოლი. გუნდმა ჩემპიონატის ბოლო ტურებში წაგო „რეჯანასთან“, „ატალანტასთან“ და „ლაციოსთან“, რის შედეგადაც თანაქალაქელ ლიდერ „მილანს“ 9 ქულით ჩამორჩება. თასიდან „ინტერი“ „სამპდორიამ“ გამოაგდო, უეფას თასის მეოთხედფინალში კი მარტში დორტმუნდის „ბორუსიასთან“ თამაში ელის. სეზონის ბოლომდე კლუბს უხელმძღვანელებს ჭაბუკთა მწვრთნელი ჯან-პიერო მარინი, რომელიც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. გადადგა „ნაპოლის“ დირექტორთა მთელი საბჭოც. კლუბს ვალად 15 მილიონი ამერიკული დოლარი აწევს. ამის გამო ქალაქის მერიამ, აგრეთვე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ და ლიგამ კლუბის ერთპიროვნული განმგებლობა მიანდეს ოტავიო ბიანკის მანამ, სანამ „ნაპოლის“ შეძენის მსურველი გამოჩნდებოდეს.

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია და ლიგა იხილავენ ევროპის სხვა ქვეყნების დარად საზამთრო არდადეგების შემოტების საკითხს. ვარაუდობენ, რომ ჩემპიონატში სამკვირიანი პაუზა გამოაცხადონ ზედ შობის წინ, რაც თურმე ერთობ მოუხდება ეროვნულ ნაკრებს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ნაკრების მწვრთნელის ბილი ბინგჰემის შემცვლელს ეძებენ. ფავორიტად მიიჩნევა ჯიმი ნიკოლი, რომელიც შოტლანდიის „რეით როვერსის“ მოთამაშე-მწვრთნელი ყოფილა. სხვა კანდიდატები არიან: კიდევ ერთი ნიკოლი, სახელად კრისი, რომელიც „საუთჰემპტონის“ ყოფილი ბოსი ყოფილა, აგრეთვე ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები ბრაიან ჰამილტონი და ჯერი არმსტრონგი.

ბრაზილიაში პოლიციამ პროკურატურასა და სასამართლოს გადასცა რიო-დე-ჟანეიროს საფეხბურთო ლიგაში შემჩნეული კორუფციის მოკვლევის მასალები. ეჭვმიტანილია ხუთი მსაჯი და ოთხი კლუბის დირექტორი, მათ შორის „ვასკო და გამას“ პატრონი იურიკო მორანდოც. ბრაზილიური კანონების თანახმად, მხოლოდ მასალების შესწავლის შემდეგ შეიძლება აღიძრას საქმე. სკანდალი ატყდა მას შემდეგ, რაც გაზეთმა „ოგლობომ“ იანვარში სამი მსაჯის აღსარება გამოაქვეყნა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშება ყოველთვის აღსავსე ყოფილა მოულოდნელობებით. აი, ახლაც მეოთხე წრის მორიგ დამატებით შეხვედრებში თასის მფლობელი „არსენალი“ დამატებით დროში შინ 1:3 დამარცხდა „ბოლტონ უონდერერსთან“, „ლიდს იუნაიტედმა“ შინ წაგო „ოქსფორდ იუნაიტედთან“ 2:3, „ლუთონ თაუნმა“ 2:0 მოუგო „ნიუკასლს“, „ჩარლტონ ატლეტიკმა“ კი აჯობა „ბლეკბერნს“ 1:0. ყველა გამარჯვებული ქვედა ლიგებიდანაა, დამარცხებულები კი „პრემიერ დივიზიონში“ თამაშობენ.

ინგლისში ერთ დიდ ტრადიციას შეიძლება ბოლო მოეღოს. ფეხბურთის ასოციაცია ედავება „უემბლის“ მეპატრონეებს, თასის ფინალისა და ნაკრების თამაშების კომერციული შემოსავლის წილი გამოზარდეთო. მეპატრონეები უარზე არიან და თუ მხარეები ვერ მორიგდებიან, 2002 წლამდე დადებული კონტრაქტის მიუხედავად ასოციაცია მანჩესტერის „ოლდ-ტრეფორდის“ უპირებს ქვეყნის უპირველეს სტადიონად ქცევას.

ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ ნაკრებს კონკრეტული მიზანი დაუსახა: უახლოესი ჯერ წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ამ მიზნით ამიერიდან ფეხბურთელებს ეკრძალებათ სმა და პაპიროსის წევა. აგრეთვე ნაკრების მოთამაშემ ყოველთვის სოლიდურად უნდა ჩაიცვას, არ ატაროს ბეჭდები და გრძელი თმა. მოკლედ, კანჯამ, ვალდერამამ გულიტმა, ბაჯომ ან საყურიანმა მარადონამ ძაანაც რომ მოინდომონ, ჩინეთის ნაკრებში ვერასდროს ითამაშებენ. ჩინეთის პრესა აღფრთოვანებით შეხვდა ფედერაციის „ბრძნულ“ განკარგულებას.

რუსეთის ნაკრები 7 აგვისტოს, კეთილი ნების თამაშების დახურვის დღეს, სანქტ-პეტერბურგში მსოფლიოს ნაკრებს უნდა შეხვდეს. კოლოსკოვმა „ვარსკვლავთა“ გაწვრთნა ფრანც ბეკენბაუერს შესთავაზა და მანაც ბატონი ვიაჩესლავის წინადადება „დიდი სიამოვნებით“ მიიღო.

დევიდ პლატი

საფრანგეთი

XXVI ტური. 8-9 თებერვალი. ლილი — მონაკო 1:1 (ასაფურიანი 65; ჯორკაეფი 58), სტრასბური — ნანტი 0:3 (უედეკი 6, 46, ნეიბეტი 57), მარსელი — ტულუზა 5:1 (სტოიკოვიჩი 22, 48, ბოლსიანი 58, ანდერსონი 70, 81; კანდელა 50), სოშო — სენტ-ეტიენი 3:2 (პიტო 3, ბუდრი 69, კაეეი 83; ბლანი 30, ჯოლფარტი 37), ანჟერი — კანი 1:1 (ლაგრანჟი 62; სუვაჟი 33), მეცი — ბორდო 1:0 (დოგონი 18, საკუთარ კარში), მონპელიე — პარი სენ-ჟერმენი 0:0, ლიონი — ლანი 1:2 (როში 71; პერონი 30, ლეიფელი 52), ოსერი — მარტიგი 3:0 (ჯოკარი 16, ვაირუა 57 პ, 76 პ), კაენი — ლე ავრი 4:1 (რუისი 60; ტეიე 10).

პსჟ (2)	26	17	7	2	37-12	41
მარსელი (1)	26	15	7	4	40-21	37
ოსერი (6)	26	13	5	8	37-19	31
ნანტი (5)	26	10	10	6	31-18	30
ბორდო (4)	26	12	6	8	31-23	30
მონპელიე (10)	26	10	10	6	27-22	30
კანი (დ)	26	9	10	7	31-30	28
მონაკო (3)	26	9	8	8	38-29	27
ლანი (9)	26	8	11	7	25-22	27
ლიონი (14)	26	11	5	10	25-27	27
სენტ-ეტიენი (7)	26	7	11	8	25-23	25
სოშო (16)	26	7	11	8	27-27	25
სტრასბური (8)	26	7	11	8	28-31	25
მეცი (12)	26	7	9	10	21-25	23
ლე ავრი (15)	26	4	14	8	19-26	22
ლილი (17)	26	5	11	10	25-34	21
კაენი (11)	26	8	4	14	19-39	20
მარტიგი (დ)	26	4	11	11	23-39	19
ანჟერი (დ)	26	3	10	13	22-40	16
ტულუზა (13)	26	3	10	13	16-41	16

STRIKER News

WORLD CUP არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა გამოეცხადა სასამართლოში დაბარებულ დიეგო მარადონას. პრეზიდენტის აზრით, დიეგო უთუოდ ითამაშებს მსოფლიო პირველობაზე. მარადონამ იმის ნახევარიც რომ ითამაშოს, რაც 1986 წელს იყო, მაშინ წინ ვერავინ დაგვიდგებაო, — განუცხადებია გრონდონას.

WORLD CUP შვედეთის ნაკრების თავდამსხმელ პაულ ზეტენბერგს გაუცდება მსოფლიო პირველობის ფინალური სტადია. იგი ბელგიის „ანდერლეხტში“ თამაშობს და „მოლენბეკთან“ შეხვედრისას მუხლი სერიოზულად დაუშავდება.

WORLD CUP გუშინწინ ესპანეთის ნაკრებმა სანტა კრუზ დე ტენერიფეში მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და კვლავ ფრედ ითამაშა, ამჯერად პოლონეთთან — 1:1. ანგარიში მასპინძელმა სერხიმ მე-18 წუთზე გახსნა, მაგრამ კოსეკიმ პირველ ტაიმშივე უპასუხა.

•ბ თებერვალს ჰელსინკში გაირკვა ევროპის 1994-96 ჩემპიონატის VIII ჯგუფის კალენდარი.

1994

7 სექტემბერი. ფინეთი — შოტლანდია, ფაარერები — საბერძნეთი. **12 ოქტომბერი.** შოტლანდია — ფაარერები, საბერძნეთი — ფინეთი, რუსეთი — სან მარინო. **16 ნოემბერი.** საბერძნეთი — სან მარინო, შოტლანდია — რუსეთი, ფინეთი — ფაარერები. **14 დეკემბერი.** ფინეთი — სან მარინო. **18 დეკემბერი.** საბერძნეთი — შოტლანდია, რუსეთი — ფაარერები.

1995

29 მარტი. რუსეთი — შოტლანდია, სან მარინო — ფინეთი, **26 აპრილი.** სან მარინო — შოტლანდია, საბერძნეთი — რუსეთი, ფაარერები — ფინეთი. **7 ივნისი.** ფაარერები — შოტლანდია, სან მარინო — რუსეთი. **11 ივნისი.** ფინეთი — საბერძნეთი. **16 აგვისტო.** შოტლანდია — საბერძნეთი, ფინეთი — რუსეთი, ფაარერები — სან მარინო. **6 სექტემბერი.** შოტლანდია — ფინეთი, ფაარერები — რუსეთი, სან მარინო — საბერძნეთი. **11 ოქტომბერი.** რუსეთი — საბერძნეთი, სან მარინო — ფაარერები. **15 ნოემბერი.** რუსეთი — ფინეთი, საბერძნეთი — ფაარერები, შოტლანდია — სან მარინო.

ბუნდესლიგა: მეორე სერია

ორთვიანი შესვენების შემდეგ ხვალ განახლდება ჩემპიონატი, რომლის მიმართ ჩვენი ინტერესი ამიერიდან ერთი-ორად გაიზრდება, ვინაიდან კახი ცხადაძესა და მურთაზ შელიას „კიოლნში“ მოთამაშე რეზო არველაძე და „ზაარბრიუკენში“ ჩარიცხული გიორგი ქინქლაძე შეემატნენ. ამგვარად, ორივე ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართველთა რიცხვი უკვე ოთხამდე ავიდა.

რეზო არველაძე მაკედონიელ დარკო პანჩევთან და არგენტინელ ლეონარდო როდრიგესთან ერთად მეორე წრიკენაკლებ დიდ ყურადღებას გუნდის მწვრთნელი რუდიგერ აბრამჩიკი კანარის კუნძულებზე, სადაც „ზაარბრიუკენმა“ შეკრება გაიარა, თუმცა, იქიდან ჩამოსვლის შემდეგ ამხანაგურ მატჩში „კაიზერსლაუტერნთან“ გუნდმა 0:5 წააგო. აქ შელიამ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, ქინქლაძე კი საერთოდ არ იყო, თუმცა როგორც „კიკერი“ წერს „ყოფილმა დინამოელმა ქინქლაძემ ვარჯიშებზეც კი ნათლად დაგვანახა, რომ ნახევარდაცვის ახალი შეფი გახდება“. ზეგ „ზაარბრიუკენი“ ჩემპიონატის მატჩში სტუმრად „ჰომბურგს“ ეთამაშება.

ლეონარდო როდრიგესი დორტმუნდის „ბორუსიის“ ფორმაში

ორ-ორ ოთხეულად ერთ-ერთ ჯგუფში „ბაიერნი“ „ბორუსიასთან“ ერთად

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

«სამმაგი დუბლი»

ორშაბათი, 7 თებერვალი

ატლანტა პოქსი — დეტროიტ პისტონზი 141:97. როცა ანგარიში 2:2 იყო, დომინიკ ვილკინსმა ბურთი ჩააგდო და „ქორები“ სამუდამოდ წინ გაიყვანა. მისმა გუნდმა სრულათა 64 პროცენტი ჩააგდო და სეზონში ყველაზე დიდი სხვაობით მოიგო. ყველაზე მეტი ქულა სტეისი ოგმონმა გააკეთა — 26, შემდეგ შემდეგ მოდიან შე�ი ბლეილოკი (18 ქულა), დომინიკ ვილკინსი (17 ქულა), კევინ ვილისი (16 ქულა, 11 მოხსნა), კრეიგ ილო (15 ქულა) და ახალბედა დეგ ედვარდსი (11 ქულა).

ინდიანა პეისერზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 104:99. დამთავრებამდე 1,52 წუთით ადრე კრის გეტლინგმა ჩატენა ბურთი კრის მულინის პასით და ერთი ქულით წინ გაიყვანა „შეიომრები“. 20 წამის შემდეგ რეჯი მილერმა (17 ქულა) „ინდიანა“ დაწინაურა, რომელმაც რიკ სმიტსის (28 ქულა, 13 მოხსნა) წყალობით ზედიზედ მეექვსედ მოიგო. „პეისერზს“ სამი წელია მოგებების ასეთი სერია არ ჰქონია.

ფილადელფია-76 — შარლოტ პორნეთსი 125:117. ამ შეხვედრაში რამდენიმე რეკორდი გაუმჯობესდა: მასპინძელმა ტიმ პერმ კარიერაში ყველაზე მეტი — 31 ქულა გააკეთა და თანაც კლუბის რეკორდი გაუმჯობესა სამქულიანებში — შვიდჯერ ჩააგდო. მისმა თანგუნდელმა კლარენს ვეზერსპუნმა თავისი პირველი „სამმაგი დუბლი“ (როცა ხუთი სტატისტიკური მონაცემიდან: ქულა, პასი, მოხსნა, დაფარება, ჩაჭრა — სამი შედეგი ორნიშნა რიცხვით გამოიხატება) შეასრულა — 15 ქულა, 15 მოხსნა, 13 პასი. ყველაზე შედეგიანი „76“-ში ჯეფ პორნაჩეკი იყო — 36 ქულა. „პორნეთსმა“ კვლავ მოისაკლისა ლარი ჯონსონი და „ოლ-სტარელი“ ალონსო მურნინგი. ამ თამაშში კი მათ მუხლატკივებული კენი გეტლინიც დაემატა. ექს-ფილადელფიელმა ჰერსი ჰოკინსმა „შარლოტს“ 31 ქულა მოუტანა (14-დან 14 საჯარიმო ჩააგდო), ასოციაციის უდაბლესმა მოთამაშე (159 სმ) ტაირონ (მაგსი) ბოგსმა კი პირადი რეკორდი დაამყარა — 24 ქულა.

მაიამი პითი — ნიუ-იორკ ნიქსი 96:85. „მაიამის“ უკანასკნელი 10 მატჩი „ნიუ-იორკთან“ წაგებული ჰქონდა და ახლაც 17 ქულას აგებდა. მაგრამ რონი საიკლიმ (22 ქულა), გლენ რაისმა (22 ქულა) და სტივ სმიტმა (25 ქულა) დეფიციტი გაანეიტრალეს და დამარცხეს გრეგ ენტონის (17 ქულა) და პატრიკ იუინგის (16 ქულა) გუნდი.

სამშაბათი, 8 თებერვალი

დალას „მავერიქსი“ — მინესოტა ტიმბერვულვზი 108:105. „მავერიქსს“ „მინესოტა“ გამოჭერილი ჰყავს: სეზონში მეოთხედ მოუგო. ამ მატჩს დამატებითი დრო დასჭირდა, რომელშიც მასპინძელმა დეგ სმიტმა (20 ქულა) 5 ქულა გააკეთა. მისმა თანგუნდელმა ჯამალ მაშბერნმა (24 ქულა) ბოლო 23 წამში სამი საჯარიმო ჩაგდო. „მინესოტაში“, რომლისთვისაც გრძელდება „დალასური კოშმარი“, საუკეთესო იყო დეგ ვესტი — 24 ქულა.

კლივლენდ კავალიერზი — ნიუ-ჯერსი ნეთსი 112:104. „მხედრებმა“ მეორე მატჩი ითამაშეს გრიპიან ცენტრის ბრედ დოპერტის გარეშე. თუმცა ჯონ ვილიამსმა (18 ქულა, 7 მოხსნა) ჯარგად შეცვალა იგი. ამ დღეს საუკეთესო იყო „ოლ-სტარელი“ მარკ პრაისი (26 ქულა). მასთან უხეში თამაშის გამო „ნეთსის“ კალათბურთელებმა ოთხი საჯარიმო ჩააგდებინეს მეტოქეს. სტუმართა შორის თავი გამოიჩინეს „ოლ-სტარელებმა“ კენი ანდერსონმა (22 ქულა) და დერიკ კოულმენმა (19 ქულა, 15 მოხსნა).

მილუოკი ბაქსი — პიუსტონ როკეტსი 106:98. ერიკ მერდიკის (28 ქულა) მიერ შეგულიანებულმა ექვსმა მილუოკელმა, რომელთა მონაგარი ორნიშნა რიცხვით გამოიხატება, ამ დღეს სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და სძლიეს აკიმ ოლაჯუონს და მის გუნდს.

სან-ანტონიო სფერზი — ვაშინგტონ ბულეტსი 110:90. დევიდ რობინსონმა სეზონში მეოთხე და ჯერჯერობით საუკეთესო „ორმაგი დუბლი“ გააკეთა — 31 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი. „სფერზმა“ ზედიზედ მეათედ მოიგო შინ.

დენვერ ნაგეთსი — იუტა ჯაზი 95:96. „ჯაზი“ ბოლო წუთზე აგებდა, როცა რიდნი როჯერსმა 8,8 (!) წამში სამი სამქულიანი „აუგდო. „დენვერი“ ერთი ქულით წინ იყო, მაგრამ დამთავრებამდე 12 წამათ ადრე ჯეფ მელოუნმა კუთხიდან ისროლა და გაამარჯვებინა „იუტას“. მეორე მელოუნმა — კარლმა 24 ქულა შესძინა „ჯაზს“,



დევიდ რობინსონი

ჯონ სტოქსონმა 22 ქულა და 12 პასი გააკეთა. როჯერსმა ოთხიდან ყველა სამქულიანი ჩაგდო და სულ მატჩში 23 ქულა მოაგროვა.

პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — საკრამენტო კინგზი 124:100. „პორტლენდს“ პრობლემები არ ჰქონია. ბაკ ვილიამსმა 17 ქულა და 15 მოხსნა გააკეთა. ამით იგი მე-16 მოთამაშეა ასოციაციაში, ვინც 11 ათასი მოხსნის ზღვარს გადასცდა. „ოლ-სტარელებმა“ კლიფ რობინსონმა და კლაიდ დრექსლერმა შესაბამისად 20 და 21 ქულა გააკეთეს. „კინგზის“ იტორიაში პირველი „ოლ-სტარული“ მიჩ რიჩმონდი არ თამაშობდა — ზურგის ტკივილმა შეაწუხა.

ლოს-ანჯელეს კლიპერზი — ჩიკაგო ბულზი 89:118. სკოტი პიპენი კვირას ზედიზედ მესამედ ითამაშებს „ოლ-სტარზს“. ამ მატჩში კი ერთი პასი დაკლდა, რომ სეზონში მესამე და კარიერაში მე-14 „სამმაგი დუბლი“ გაეკეთებინა: 22 ქულა, 14 მოხსნა და 9 პასი. პიპენი შეეცდა მიაღწევდა, რომ არა „ჩიკაგოს“ მწვრთნელი ფილ ჯექსონი: მან დამთავრებამდე 8 წუთით ადრე თამაშიდან გამოიყვანა სკოტი.

ლოს-ანჯელეს ლეიკერზი — ფინიქს სანზი 107:104. მესამე მეოთხედის მეექვსე წუთზე „სანზი“ 75:59 იგებდა. მომდევნო ხუთწუთიანი მონაკვეთი „ტბელებმა“ 20:4 მოიგეს და ანგარიში გაათანაბრეს. ბოლო მეოთხედში კარგად ითამაშა სიდეილ თრითმა — 13 ქულა ჩააგდო (სულ მატჩში 26). დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ვლადე დივაცმა და ჯეიმს ვორსიმ ოთხქულიანი მარაგი შეუქმნეს „ლეიკერსს“ და მოაგებინეს კიდეც. „სანზში“ კვლავ არ თამაშობდა ჩარლზ ბარკლი, მომელიც „ოლ სტარზის“ თამაშისთვის დასავლეთის ძირითად ხუთეულში კი დასახელეს, მაგრამ კვირას მისი თამაში სათუოა.

ოთხშაბათი, 9 თებერვალი

მაიამი პითი — ინდიანა პეისერზი 98:102. „ინდიანას“ სათადარიგო თავდამსხმელმა კენ ვილიამსმა პირადი რეკორდი გაუუჯობესა — 25 ქულა. დერიკ მაკკიმ კი 30 ქულა ჩაგდო, მათ შორის 4 საჯარიმო ჯანასკნელ 30 წამში. „პეისერზმა“ ზედიზედ მეშვიდედ მოიგო.

ორლანდო მეჯიკი — ატლანტა პოქსი 104:87. სამი წაგების შემდეგ „ორლანდომ“ გაიმარჯვა. შაკილ ო ნილმა 37 ქულა გააკეთა.

გოლდენ სტეიტ ვორიორზი — შარლოტ პორნეთსი 126:116. ჰერსი ჰოკინსმა გაიმეორა „შარლოტის“ რეკორდი — 41 ქულა, თუმცა „მეომრები“ მაინც ვერ დაამარცხა. „ოლ-სტარელმა“ ლატრელ სპრიუელმა 34 ქულა გააკეთა.

ფილადელფია-76 — ნიუ-იორკ ნიქსი 79:114. „ნიქსმა“ სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო. პატრიკ იუინგმა 18 ქულა და 11 მოხსნა გააკეთა, ჩარლზ ოკლიმ — 13 ქულა და 12 მოხსნა.

ბოსტონ სელტიქსი — დეტროიტ პისტონზი 95:102. გამოჯანმრთელებული აზია ტომასი ყველაზე შედეგიანი იყო გამარჯვებულთა შორის — 28 ქულა. შემდეგ მოდიან ტერი მილზი და ოლდენ პოლინიცი (16-16 ქულა), ჯო დუმარსი (15 ქულა), ახალბედები ალან ჰიუსტონი და ლინდსი ჰანტერი (10-10 ქულა).

ნიუ-ჯერსი ნეთსი — კლივლენდ კავალიერზი 106:95. მასპინძელთა ფორვარდებმა არმონ გილიამმა, ჯეგსონ ვილიამსმა, აგრეთვე ცენტრმა ბენუა ბენჯამინმა ფარზე ბრძოლა მოიგეს. ამას დაემატა კენი ანდერსონის 24 ქულა და „ნეთსმა“ ორი წაგების შემდეგ მოიგო.

იუტა ჯაზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 96:103. მეორე მეოთხედის შემდეგ „ჯაზი“ პირველად დაწინაურდა დამთავრებამდე 2,17 წუთით ადრე, როცა ფელტონ სპენსერმა ბურთი ჩატენა. მაგრამ „ლეიკერზში“ საუკეთესომ სიდეილ თრითმა (25 ქულა) ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო და დამთავრებამდე 1.27 წუთით ადრე საბოლოოდ დაწინაურა სტუმრები.

ფინიქს სანზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 111:106. „მინესოტა“ 1989 წელს მიიღეს NBA-ში და მას შემდეგ ვერცერთხელ ვერ მოუგო „სანზს“. ამათ კი ამ დღეს მეთვრამეტედ დაამარცხეს მეტოქე. საუკეთესონი იყვნენ სედრიკ სეგალოსი და კევინ ჯონსონი — 24-24 ქულა. ეი.სი. გრინმა 22 ქულა გააკეთა ცენტრმა ოლივერ მილერმა კარიერაში პირველი „სამმაგი დუბლი“ შეასრულა: 14 ქულა, 15 მოხსნა, 11 პასი.

სიეტლ სუპერსონიქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 115:94. სიეტლელმა გერი პეიტონმა ზედ მატჩის წინ შეიტყო, რომ „ოლ-სტარზე“ შეცვლის დაშავებულ ჩარლზ ბარკლის. ალბათ ამიტომ მან მატჩში ყველაზე მეტი — 19 ქულა გააკეთა. მეორე „ოლ-სტარელს“ შონ კემფს ორი მოხსნა დაკლდა პირადი რეკორდის გაუმჯობესებისათვის — 19. კემფმა 15 ქულაც ჩააგდო.

საკრამენტო კინგზი — ლოს-ანჯელეს კლიპერზი 105:95. მიჩ რიჩმონდმა მეორე ტაიმში 23 ქულა გააკეთა (სულ მატჩში — 35) და დაეხმარა „კინგზს“ შეეწყვიტა სამმატჩიანი მოუგებელი სერია. მანვე 7 პასი და ამდენივე მოხსნა შეასრულა. სპაიდერმა 17 ქულა და 12 პასი გააკეთა.

მდგომარეობა:	მ	ნ	%
ატლანტიკის ჯგუფი			
ნიუ-იორკი	34	13	723
ორლანდო	27	20	574
მაიამი	23	23	500
ნიუ-ჯერსი	22	24	478
ბოსტონი	20	27	426
ფილადელფია	20	27	426
ვაშინგტონი	15	31	326
ცენტრალური ჯგუფი			
ატლანტა	33	13	717
ჩიკაგო	33	13	717
კლივლენდი	24	23	511
ინდიანა	23	23	500
შარლოტი	22	25	468
მილუოკი	14	33	298
დეტროიტი	11	36	234
შუა-დასავლეთის ჯგუფი			
პიუსტონი	33	12	733
სან-ანტონიო	34	14	708
იუტა	31	18	633
დენვერი	22	24	478
მინესოტა	14	32	304
დალასი	5	42	106
წყნარი ოკეანის ჯგუფი			
სიეტლი	35	10	778
ფინიქსი	31	15	674
პორტლენდი	27	20	576
გოლდენ სტეიტი	26	20	565
ლ. ა. ლეიკერზი	18	28	391
ლ. ა. კლიპერზი	16	29	356

ტერმინოლოგია: 14 ქულა, 32 მოხსნა,

მინეაპოლისში

კვირას „ოლ სტარზის“ ყოველწლიური მატჩი გაიმართება. შემადგენლობები უკვე ცნობილია. პირველი ხუთეულები ქომაგთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, დანარჩენები მწვრთნელებმა დასახელეს. დასავლეთის გაერთიანების ნკრებს ჯორჯ კარლი („სიეტლი“) უთავკაცებს, აღმოსავლეთისას — ლენი ვილკენსი („ატლანტა“)

დასავლეთი

აღმოსავლეთი

ხუთეული და...

აკიმ ოლაჯუონი
„პიუსტონ როკეტსი“
ცენტრი (Centre)

შაკილ ო ნილი
„ორლანდო მეჯიკი“
ცენტრი (Centre)

შონ კემფი
„სიეტლ სუპერსონიქსი“
თავდამსხმელი (Power Forward)

დერიკ კოულმენი
ნიუ-ჯერსი ნეთსი“
თავდამსხმელი (Power Forward))

ჩარლზ ბარკლი
„ფინიქს სანზი“
ფრთა (Small Forward)

სკოტი პიპენი
„ჩიკაგო ბულზი“
ფრთა (Small Forward)

კლაიდ დრექსლერი
„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“
მსროლელი (Shooting Guard)

კენი ანდერსონი
„ნიუ-ჯერსი ნეთსი“
მსროლელი (Shooting Guard)

მიჩ რიჩმონდი
„საკრამენტო კინგზი“
მსროლელი (Shooting Guard)

ბი. ჯეი. არმსტრონგი
„ჩიკაგო ბულზი“
გამთამაშებელი (Point Guard)

...დანარჩენები



დევიდ რობინსონი
„სან-ანტონიო სფერზი“
ცენტრი

პატრიკ იუინგი
„ნიუ-იორკ ნიქსი“
ცენტრი

კლიფ რობინსონი
„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი“
ცენტრი

ალონსო მურნინგი
„შარლოტ პორნეთსი“
ცენტრი



კარლ მელოუნი
„იუტა ჯაზი“
თავდამსხმელი



ჰორას გრანტი
„ჩიკაგო ბულზი“
თავდამსხმელი

ლატრელ სპრიუელი
„გოლდენ სტეიტ ვორიორზი“
თავდამსხმელი

დომინიკ ვილკინსი
„ატლანტა პოქსი“
ფრთა

დანი მანინგი
„ლოს-ანჯელეს კლიპერზი“
ფრთა

ჯონ სტარქსი
„ნიუ-იორკ ნიქსი“
მსროლელი

ჯონ სტოქტონი
„იუტა ჯაზი“
გამთამაშებელი

მუკი ბლეილოკი
„ატლანტა პოქსი“
გამთამაშებელი

კევინ ჯონსონი
„ფინიქს სანზი“
გამთამაშებელი



მარკ პრაისი
„კლივლენდ კავალიერზი“
გამთამაშებელი

გრაფმა ისევ მოიგო

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი აგრძელებს თავის გამარჯვებათა უწყვეტ სერიას. გუშინწინ, ტოკიოში 24 წლის გერმანელმა ქალმა მესამედ მოიგო წყნარი ოკეანეთის ღია ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 750 ათასი დოლარი იყო. გრაფმა ფინალში იოლად სძლია მეორე ნომრად განთესილ 37 წლის მარტინა ნავრატილოვას (აშშ) — 6:2, 6:4 და აზიაში ამ ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობის გამარჯვებულის წოდებასთან ერთად 150 ათასი დოლარის ჩეკიც მიიღო. საინტერესოა, რომ მეტოქეები შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ ნახევარფინალში. მაშინ სამსეტიან ორთაბრძოლაში ნავრატილოვამ მიაღწია წარმატებას. ეს გრაფის 81-ე მოგებული ტურნირია. ამ მაჩვენებლით კი სწორედ ნავრატილოვა ლიდერობს, რომელმაც პროფესიულ სპორტში 22-წლიანი ბრწყინვალე კარიერის მანძილზე ერთეულთა თანრიგის 165 (!) შეჯიბრების მოგება მოასწრო.

კალიფორნიის შტატის სან-ხოსეში ვაჟთა 313750-დოლარიან ტურნირის ფინალში მეექვსე ნომრად „განთესილმა" რენტო ფურლანმა (იტალია), რომელიც 50 უძლიერესთა სიაშიც კი არ შედიოდა, მოულოდნელად სძლია მსოფლიოს მეცხრე ჩოგანს, ამერიკელ მაიკლ ჩანგს — 3:6, 6:3, 7:5. ამ წარმატების შედეგად იტალიელი 3-ე ადგილამდე აღწევდა.

მარსელის (საფრანგეთი) 538 750-დოლარიან ტურნირის ნახევარფინალში მე-17 ჩოგანმა მარკ როსეტ (შვეიცარია) დამარცხა პირველი ნომერი მიხაელ შტიხი (გერმანია) — 6:2, 2:6, 6:4. მეორე ნახევარფინალში ფრანგმა არნო ბეშმა (22) იტალიელ დიეგო ნარგიზოს სძლია — 7:6, 6:4. ფინალური ორთაბრძოლა როსეტ მოიგო — 7:6, 7:6.

ლუბაიში (არაბთა საამირო) ყველაზე მაღალი საპრიზო ფონდი იყო დაწესებული — 1 038 750 დოლარი. ნახევარფინალში მეოთხე ჩოგანმა ესპანელმა სერხი ბრუგერამ სამხრეთაფრიკელი ვეინ ფერეირა (18) დამარცხა — 6:2, 6:1. შვედმა მაგნუს გუსტაფსონმა (12) კი ასევე იოლად მოუგო რუს ალექსანდრ ვოლკოვს (20) — 6:2, 6:2. ფინალურ შეხვედრაში გუსტაფსონმა მიაღწია წარმატებას — 6:4, 7:5 და ამ გამარჯვებით უძლიერესთა ათეულშიც ამოყო თავი.

ახლა კი ახლო უცხოეთში გადავინაცვლოთ, კერძოთ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში, სადაც გაიმართა დსთ-ს თასის გა-

მაგნუს გუსტაფსონი ათეულში შევიდა

თამაშება 14 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა შორის. საქართველოს ბიჭების გუნდმა ირაკლი ლაბაძისა და ჯიშუერ ენუქიძის შემადგენლობით ქვეჯგუფში დაამარცხა რუსეთის მეორე (2:1) და ლიტვის (3:0) ნაკრებები და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ხელმეორედ მოუგო (3:0) რუს თანატოლებს. ფინალურ შეხვედრაში ჩვენები მასპინძლებთან დამარცხდნენ — 0:3 და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდნენ. გოგონათა გუნდი მაკა ჩახნაშვილისა და ია ზოზრაშვილის შემადგენლობით შედარებით სუსტად გამოვიდა და რვა ქვეყნის წარმომადგენელთა შორის მეხუთე ადგილი დაიკავა. ერთი კვირის შემდეგ გოგონებიცა და ბიჭებიც ამავე ასაკის ევროპულ პირველობაში ჩაებმებიან თურქეთსა და პოლანდიაში.

გია ახალაძე

პატარა სამეფოს დიდი ნადავლი

ახლა მთელი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება ნორვეგიისაკენაა მიმართული. რატომაც არა, ჩრდილოეთ ევროპაში მდებარე ეს სამეფო ხომ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობს. ამდენად, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ნორვეგიის ოლიმპიური პორტრეტის რამდენიმე შტრიხით გაცნობა.

წლევანდელი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ასპარეზი აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ, ჩრდილოეთ და შუა ნორვეგიაში, აგრეთვე ოპლანდსა და ჰედმარკის საგრაფოებში მდებარეობს, ხოლო ოლიმპიადის დედაქალაქი ლილეჰამერი გახლავთ. ვფიქრობთ, რომ ნორვეგიელები მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდეს ფორუმზე უმაღლეს დონეზე და უზადოდ უმასპინძლებენ, მით უმეტეს, რომ მათ ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის გამოცდილება აქვთ.

თეთრ ოლიმპიადას ნორვეგიამ, კერძოდ ოსლომ 1952 წელს უმასპინძლა და ყველა კმაყოფილი დატოვა, თუმცა, უშუალოდ სპორტულ სარბიელზე იგი მეტად ძუნწი აღმოჩნდა. მაშინ ნორვეგიელებმა ყველაზე მეტი — 7 ოქროს მედალი მოიპოვეს და ამ მხრივ თავიანთივე 1936 წლის რეკორდი გაიმეორეს. ამას გარდა, ოსლოში ნორვეგიელებმა 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, საბოლოოდ კი არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტ მეტოქეს გაუსწრეს, მაგრამ მათ ასეთ წარმატებას საკუთარი კედლების წყალობით როდი მიაღწიეს.

გუნდურ ჩათვლაში ასეთი ტრიუმფისათვის ნორვეგიელებს მანამდეც მიუღწევიათ და მას შემდეგაც. თეთრი ოლიმპიადების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მათ ხუთჯერ იზეიმეს გამარჯვება. ახლა ამას მიათვალეთ მსგავს ჩათვლაში სხვა საპრიზო ადგილებიც, რომლებიც მრავლად დაუმსახურებიათ. ნორვეგიელებს მრავალი გამარჯვება მოუპოვებიათ სათხილამურო სპორტის ჩრდილოური სახეობებისა და ციგურებით სწრაფრბენის გუნდურ პირველობებში.

ნორვეგიელთა ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ტურლეიფ ჰაუგი. მან სამი მედალი შამონში ზამთრის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა, რისთვისაც მსოფლიო პრესამ „მოთხილამურეთა მეფე" შეარქვა, ხოლო მისმა თანამემამულეებმა „ღირსეულთა შორის ღირსეული შვილი" უწოდეს, შინ დაბრუნებულს კი კონგსბერგში სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგეს.

როცა ტურლეიფი შამონში მედალს მედალზე ისაკუთრებდა, მისი თანამემამულე, ერთი ციცქნა გოგონა სონია ჰენი ქალთა ფიგურულ ციგურაობაში ცდიდა ძალას და მერვე ადგილი დაიკავა, მაგრამ მაშინ მან უფროსი თანაგუნდელისაგან ბრწყინვალედ ჩაიბარა ესტაფეტა და მერე თავადაც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ნორვეგიელთაგან განსაკუთრებით უდიდეს წარმატებას მიაღწიეს აგრეთვე სახელგანთქმულმა სპორტსმენებმა ი.ბალლანგრუდმა და ი.გრეტტუმსბროტენმა. ბალლანგრუდმა სამ ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გრეტტუმსბროტენმა ასევე სამ თეთრ ოლიმპიადაზე სამი „ოქრო", ერთი „ვერცხლი" და ორიც „ბრინჯაო" დაიმსახურა.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან ი.ანდერსენი, ვ.ულვანგიც, რომლებმაც სამივე ოქროს მედალი ერთ ოლიმპიადაზე დაიმსახურეს. ორგზის ჩემპიონებს არიან ბ.რუდი, მ.სოლბერგი და სხვები.

ტორლეიფ ჰაუგი

სულ ნორვეგიელებმა თეთრ ოლიმპიადებზე 70-ზე მეტი „ოქრო" და ამდენივე „ვერცხლი" დაიმსახურეს.

მათ წინა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ალბერვილშიც ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს, რაც 9 ოქროს, 11 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით გამოიხატა. არადა, იყო დრო, როცა ნორვეგიელები, შვედებთან ერთად, ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის წინააღმდეგნი იყვნენ. სკანდინავიელებს არგუმენტად ის მოჰყავდათ, რომ ყინულზე და თოვლზე შეჯიბრებები ჩვენი ღრმად ეროვნული სახეობებია და არა გვსურს მათი ოლიმპიურ ტრადიციებთან დაკავშირება, რაც ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს, მაგრამ შემდეგ ნორვეგიელებმა ისე შეიყვარეს და გაიგეს, ოქროს მედალი დაიმსახურა.

სონია ჰენი

ნორვეგიელთაგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ტყვიის მსროლელმა ოლე �ილე-ოლსენმა, რომელმაც 1920 და 1924 წლების ოლიმპიურ თამაშებზე ხუთი ოქროსა და ერთიც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამ პატარა სამეფოსათვის, რომლის მოსახლეობა ხუთ მილიონსაც არ აღწევს, ამდენი „ოქრო-ვერცხლი", ვფიქრობთ, შთამბეჭდავი ნადავლია. ნორვეგიელები თავიანთი მედლების კოლექციას ლილეჰამერში უფრო გაამდიდრებენ. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ისინი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვებენ. მთავარი პრეტენზიათა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი 1900 წელს შექმნეს. ისინი პირველის გარდა ყველა ოლიმპიურ თამაშებში სპორტის უმრავლეს სახეობებში გამოდიოდნენ. ნორვეგიელთაგან პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ა.პელგერუდმა, რომელმაც ამ წარმატებას 1908 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე არმიული შაშხანიდან სროლაში მიაღწია.

ყველაზე დიდ წარმატებას ნორვეგიელებმა 1920 წელს ანტვერპენში მიაღწიეს, როცა წინა ორ ოლიმპიადაზე არაოფიციალურ გუნდურ პირველობებში დაკავებული VIII ადგილებიდან ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლეს. ეს ძირითადად იახტსმენთა და ტყვიის მსროლელთა ბრწყინვალე გამოსვლამ განაპირობა. იახტსმენებმა შვიდი, ხოლო მსროლელებმა ხუთი ოქროს მედალი დაიმსახურა.

ნორვეგიელთაგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ტყვიის მსროლელმა ოლე ილილე-ოლსენმა, რომელმაც 1920 და 1924 წლების ოლიმპიურ თამაშებზე ხუთი ოქროსა და ერთიც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამ პატარა სამეფოსათვის, რომლის მოსახლეობა ხუთ მილიონსაც არ აღწევს, ამდენი „ოქრო-ვერცხლი", ვფიქრობთ, შთამბეჭდავი ნადავლია. ნორვეგიელები თავიანთი მედლების კოლექციას ლილეჰამერში უფრო გაამდიდრებენ. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ისინი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვებენ. მთავარი პრეტენდენტები არიან.

ანთონელ ჯუვიშელი

სალილეჰამერი ოზაიკა

ლილეჰამერში ორშაბათს გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) სესია და პრეზიდენტმა სამარანჩმაც მშვიდობის მაძიებელობა დაიჩემა, მოუწოდა რა ბოსნიის კონფლიქტში მონაწილე სამივე მხარეს, ოლიმპიადამდე, ოლიმპიადის დროსაც და თამაშების შემდეგაც დაზავდნენ ანტიკური ტრადიციის თანახმად. სამარანჩს უთქვამს, შეწყვიტეთ ბრძოლა, შეწყვიტეთ კაცსკვლა და დაყარეთ თქვენ-თქვენი საჭურველია. თამაშების დღეებში ლილეჰამერში თურმე სარაევოსთან სოლიდარობის დღე მოეწყობა, სამშაბათიდან კი ოლიმპიურ სოფელში დაუდიათ წიგნი, რომელშიც დაზავების მოთხოვნას ხელს მოაწერს ყველა მსურველი და რომელსაც მერე გადასცემენ სარაევოს მერს, ვინაც თამაშებზე დასასწრებად ჩავა. შეგახსენებთ, რომ აწ უკვე გაპარტახებული სარაევო ათი წლის წინ — 1984 წელს ზამთრის ოლიმპიადას მასპინძლობდა.

*

ავსტრიელი სამთომოთხილამურე ქალის ულრიკე მაიერის დაღუპვის გამო ვითარება ბრუნვა დაიძაბა. საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ტრაგედიის ადგილზე — გარმიშ-პატერნკირხენის ტრასაზე უსაფრთხოების ყველა პირობა იყო დაცული. ხელისუფლებს კვერი დაუკრეს ცნობილმა მწვრთნელებმა. ისე კი, ფედერაცია მაინც გვარიანად დაფრთხა და ოლიმპიურ ტრასებზე ყველა პოტენციურ წინაღობას — სატელევიზიო კოშკურებს, დროის საზომ-მოწყობილობასა და ხელოვნურ თოვლისმფრქვევ დანადგარებს 25 სანტიმეტრი სისქის დაშცავი შალითა გაუკეთა, ფედერაციამ ისიც განაცხადა, ზომებს მივიღებთ სწრაფდაშვებისა და სუპერგიგანტის დროის სიჩქარის შესამცირებლადო(?!) ამასობაში ულრიკეს დაკრძალვას ზალცბურგის ახლომდებარე სოფელში ათასობით კაცი დაესწრო, გარმიშ-პარტენკირხენის შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის შეფს — ჰუბერტ ოსლერს კი მავანნი თურმე ტელეფონის რეკვით იკლებენ და მოკვლას ეჭადნებიან. პოლიცია ოსლერსა და მის ოჯახს ბეჯითად იცავს.

*

გრძელდება ჰარდინგ — გელული — კერიგანის საქმეც. მას შემდეგ, რაც ტანია ჰარდინგის მიერ შთაგონებულმა ექს-ქმარმა მთავარ მეტოქეს ნენსი კერიგანს მუხლში კეტი უთავაზა და დაშავა, ჰარდინგმა მართლაც მოიგო აშშ-ის პირველობა და ოლიმპიურ გუნდში მოხვდა. მერე და მერე კერიგანი მოკეთდა და საგანგებო ჟიურის წარუდგინა თავისი პროგრამა, რის შედეგადაც ისიც გუნდში ჩარიცხეს. ამას საზოგადოების აღშფოთება მოყვა, აქაოდა ვერაგი დამნაშავე და მისი უბიწო მსხვერპლი ერთ გუნდში როგორ უნდა იყვნენო, მაგრამ სოკ-მა განაცხადა, ამ საკითხის გარჩევა ამერიკელთა საშინაო საქმეაო. ამერიკელებმა საკითხის განხილვა დანიშნეს 15 თებერვალს, ოსლოში, მაგრამ საქმეს ისეთი ბერი უჩანს, რომ ჰარდინგს ცხვირწინ ბუზსაც ვერ აუფრენენ, რაკიღა თავად ეჭვმიტანილი არ ტყდება და არც მართლმსაჯულებას გამოუტანია განაჩენი, ჰოდა, ვთქვათ და გუნდიდან რომ გარიცხონ ტანია, ის სასამართლოს მიმართავს და საქმეს უეჭველად მოიგებს. დაბნეულმა ამერიკელებმა მოტიგურავეთა საერთაშორისო კავშირს ისღა შეჰბედეს, იქნებ ჰარდინგისა და კერიგანისათვის საკარიჭიო დრო ლილეჰამერში ცალ-ცალკე გამოგვეყოო, რაზეც ცივი უარი მიიღეს.

ტოტალიზატორი

"CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დრის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია,

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (ჭეთედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 5 000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

			1	X	2
11-13 თებერვ.	ჰამბურგი — ფრაიბურგი		1,2	2,6	5,0
	მიონხენგლადბახი — კარლსრუე		1,3	2,4	4,4
	დუისბურგი — ლაიფციგი		1,2	2,4	6,0
	დორტმუნდი — ლევერკუზენი		1,4	2,2	4,0
	კიოლნი — შალკე		1,3	2,4	4,4
	აინტრახტი — ნიურნბერგი	0:1	1,3	2,7	2,7
	ვერდერი — კაზერსლაუტერნი		1,3	2,4	4,4
	ვატენშაიდი — დინამო		1,6	2,2	3,0
	ბაიერნი — შტუტგარტი	0:1	1,3	2,7	2,7
	ბილბაო — რაიო ვალეკანო	0:1	1,4	2,0	3,5
	ლერიდა — ლოგრონესი		1,7	2,0	3,2
	ტენერიფე — ვალენსია		1,3	2,4	4,4
	სანტანდერი — სელტა		1,3	2,2	5,0
	ატლეტიკო — სპორტინგი		1,7	2,0	3,2
	ოვიედო — რეალი		2,2	2,5	1,8
	ლა კორუნია — სევილია		1,4	2,2	4,0
	ვალიადოლიდი — სოსიედადი		1,6	2,0	3,5
	ოსასუნა — ალბასეტე		1,8	2,0	3,0
	სარაგოსა — ბარსელონა		2,0	2,5	2,0
	ლაციო — კალიარი		1.3	2.2	5.0
	მილანი — კრემონეზე	0:1	1,2	2,4	4,0
	პიაჩენცა — ინტერი		2,3	2,0	2,2
	იუვენტუსი — ლეჩე	0:1	1,2	2,0	5,0
	უდინეზე — ნაპოლი		2,0	2,2	2,3
	ფოჯა — რეჯანა		1,2	2,4	6,0
	ატალანტა — რომა		1,8	2,0	3,0
	პარმა — სამპდორია		1,6	2,2	3,0
	ჯენოა — ტორინო		1,8	2,0	3,0

მსოფლიოს ჩემპიონატი

	ჩემპიონი (17.07)	ფინალი (13.07)	1/2 (10.07)	1/4 (05.07)	1/8 (30.06)
ბრაზილია	3,0-1,8	2,3-1,9	1,8-2,1	1,6-2,5	1,5-150,0
გერმანია	3,2-1,8	2,3-1,9	1,8-2,1	1,6-2,5	1,5-120,0
იტალია	3,2-1,8	2,3-1,9	1,8-2,1	1,6-2,4	1;5-45,0
არგენტინა	3,5-1,8	2,5-1,9	1,9-2,1	1,6-2,4	1,5-28,0
ჰოლანდია	4,5-1,8	3,0-1,9	2,0-2,0	1,6-2,4	1,5-19,0
კოლუმბია	9,0-1,7	6,0-1,7	3,9-1,6	1,7-2,4	1,5-2,8
მექსიკა	10,0-1,6	7,0-1,7	4,7-1,6	1,7-2,4	1,5-2,6
აშშ	12,0-1,6	8,0-1,6	4,7-1,6	1,7-2,3	1,5-2,6
ესპანეთი	12,0-1,6	8,0-1,6	4,7-1,6	1,7-2,3	1,5-2,6
კამერუნი	22,0-1,6	13,0-1,6	4,8-1,6	2,0-2,0	1,6-2,4
ნიგერია	22,0-1,6	13,0-1,6	4,8-1,6	2,0-2,0	1,6-2,4
ბელგია	28,0-1,5	18,0-1,6	7,0-1,5	2,2-1,8	1,7-2,3
მაროკო	28,0-1,5	18,0-1,6	7,0-1,5	2,2-1,8	1,7-2,3
ნორვეგია	28,0-1,5	18,0-1,6	7,0-1,5	2,2-1,8	1,7-2,3
შვედეთი	45,0-1,5	30,0-1,5	13,0-1,5	2,8-1,7	1,8-2,2
ირლანდია	70,0-1,5	45,0-1,5	22,0-1,5	3,7-1,6	1,8-2,2
რუსეთი	70,0-1,5	45,0-1,5	22,0-1,5	3,7-1,6	1,8-2,2
რუმინეთი	70,0-1,5	45,0-1,5	22,0-1,5	3,7-1,6	1,8-2,2
ბულგარეთი	90,0-1,5	60,0-1,5	26,0-1,5	4,5-1,6	1,9-2,1
საბერძნეთი	90,0-1,5	60,0-1,5	26,0-1,5	4,5-1,6	1,9-2,1
შვეიცარია	90,0-1,5	60,0-1,5	26,0-1,5	4,5-1,6	1,9-2,1
ბოლივია	95,0-1,5	65,0-1,5	28,0-1,5	4,5-1,6	1,9-2,1
ყორეა	230,0-1,5	190,0-1,5	95,0-1;5	14,0-1,6	2,0-2,0
საუდ. არაბეთი	450,0-1,5	350,0-1,5	180,0-1,5	25,0-1,6	2,0-2,0

მაგალითისთვის: ბრაზილიის სტრიქონისა და ფინალის სვეტის გადაკვეთაზე წერია 2,3-1,9. პირველი რიცხვი (2,3) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ბრაზილია გავა ფინალში, ხოლო მეორე რიცხვი (1,9) ნიშნავს კოეფიციენტს ფსონისთვის, რომ ბრაზილია ვერ გავა ფინალში.

აღნიშნული კოეფიციენტები მოქმედებს 15 თებერვლამდე

ქვითარზე აღნიშნება ფსონის ჩაბარების თარიღი და მოგების შემთხვევაში მიიღებთ თანხას იმ კოეფიციენტით, რომელიც მოქმედებდა ფსონის ჩაბარების დროს.

15 თებერვლამდე მოქმედი კოეფიციენტები ევროპული ტურნირები

ფრჩხილებში მითითებულია მოგებების გაცემის დაწყების თარიღი. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ერთი ჯგუფიდან ორი გახული გუნდის გამოცნობისას. მოითხოვეთ სპეციალური ქვითრები

ნახევარფინალში გასვლა (13.04)
ბარსელონა — 1,3
მონაკო — 1,4
სპარტაკი — 1,8
გალათასარაი — 1,8
მილანი — 1,3
ვერდერი — 1,4
პორტუ — 1,8
ანდერლეხტი — 1,8

ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა (13.04)
ბარსელონა — 1,4
მონაკო — 3,8
სპარტაკი — 4,5
გალათასარაი — 5,5
მილანი — 1,4
ვერდერი — 3,2
პორტუ — 4,8
ანდერლეხტი — 5,8

თასის აღება
ჩემპიონთა თასი (18.05)
მილანი — 2,1
ბარსელონა — 2,4
ვერდერი — 3,7
პორტუ — 5,2
ანდერლეხტი — 6,0
მონაკო — 6,5
სპარტაკი — 8,0
გალათასარაი — 8,0

თასების თასი (04.05)
აიაქსი — 3,2
პარმა — 3,2
რეალი — 3,2
არსენალი — 3,5
ტორინო — 5,0
პსჟ — 5,0
ბაიერი — 6,0
ბენფიკა — 6,5

უეფას თასი (11.05)
იუვენტუსი — 2,2
ინტერი — 2,2
აინტრახტი — 2,8
ბორუსია — 4,8
კალიარი — 7,5
კარლსრუე — 9,0
ბოავიშტა — 23,0
კაზინო — 45,0

ეროვნული ჩემპიონატების გამარჯვებულები

ინგლისი (08.05)
მანჩესტერ იუნაიტედი — 1,4
ბლეკბერნი — 8,0
ლიდსი — 10,0
არსენალი — 10,0
ნიუკასლი — 25,0
ლივერპული — 30,0
დანარჩენები — 100,0

გერმანია (08.05)
ბაიერნი — 2,8
აინტრახტი — 3,0
ლევერკუზენი — 3,0
ვერდერი — 3,5
კაიზერსლაუტერნი — 4,5
ჰამბურგი — 7,0
დორტმუნდი — 9,0
დანარჩენები — 50,0

იტალია (01.05)
მილანი — 2,0
იუვენტუსი — 2,5
სამპდორია — 3,0
ინტერი — 4,8
პარმა — 4,8
ლაციო — 10,0
ნაპოლი — 30,0
დანარჩენები — 50,0

ესპანეთი (15.05)
ლა კორუნია — 2,5
ბარსელონა — 2,5
რეალი — 3,0
ბილბაო — 7,5
სპორტინგი — 25,0
დანარჩენები — 50,0

ტოტოლოტო

საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 02 19-20 თებერვალი

		I წრე	პროგნოზი	
	გერმანიის ჩემპიონატი			
1	დუისბურგი — ვერდერი	5:1	4 5 1	1 X
2	კარლსრუე — აინტრახტი	1:3	2 5 3	X 2
3	ლაიფციგი — ბაიერნი	0:3	1 3 6	2
4	ლევერკუზენი — ჰამბურგი	1:2	6 3 1	1
	იტალიის ჩემპიონატი			
5	ინტერი — ნაპოლი	0:0	6 3 1	1
6	ლაციო — მილანი	0:0	3 4 3	1 X 2
7	ტორინო — იუვენტუსი	2:3	1 3 6	2
8	ფოჯა — პარმა	0:3	2 4 4	X 2
	ესპანეთის ჩემპიონატი			
9	რეალი — ატლეტიკო	0:0	5 3 2	1 X
10	რეალ-სოსიედადი — ლა კორუნია	1:0	2 3 5	X 2
11	სარაგოსა — ატლეტიკი ბილბაო	1:2	5 4 1	1 X

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

ტურისტული ფირმა გთავაზობთ
მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

ჰოლანდია-ბელგია — მანქანის ჩამოყვანით. პირდაპირი რეისი თბილისი — პრაღა. გასვლა პრაღიდან კომფორტული ავტობუსით. საბუთების მიღება სასწრაფოა. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში.
კაირო-ალექსანდრია — გასვლა ყოველ ორშაბათს პირდაპირი რეისით
საბერძნეთი (სალონიკი) — პირდაპირი რეისი თვითმფრინავით ან ავტობუსით
სირია-თურქეთი (ალეპო) — მგზავრობა თბილისიდან კომფორტული ავტობუსით
ფინეთი (ჰელსინკი) — გასვლა სანქტ-პეტერბურგიდან ავტობუსით
თბილისი-ბულგარეთი (ვარნა), თურქეთის გავლით. სტამბულში 2 დღე, ვარნაში 5 დღე. მგზავრობა კომფორტული ავტობუსით

დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ., II ჩიხი, №3 (სილამაზის სალონი „ჰარმონია") ან ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული
ტელეფონები: 29-29-97; 39-36-78; 39-24-32

მეტეხი
Meteehi

საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო

— თარგმნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე
— თარგმანისა და ნებისმიერი სხვა ტექსტის ბეჭდვა გერმანულად, ინგლისურად და რუსულად
— თარგმნა, ბეჭდვა, ფაქსისა და ტელექსის გაგზავნა გერმანულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში
— ტელექსისა და ფაქსის მიღება ნებისმიერი ქვეყნიდან
— ქსეროასლების დამზადება

დავით აღმაშენებლის გამზირი 67
ტელეფონები: 95 11 62, 95 10 63, 95 11 02

ავიაკომპანია «ლიდია»

პირდაპირი ავიარეისები
მოსკოვიდან თბილისში, თბილისიდან მოსკოვში

სამშაბათს, პარასკევს, კვირას

ბილეთები იყიდება ავიაკომპანიის სააგენტოში
(თბილისი, ლესელიძის 30. ტელ. 98-59-45)
ყოველდღე (კვირის გარდა) 10-დან 16 საათამდე

იყიდება ისრაელის წარმოების წყლის გამაცხელებელი
ATMOR SUPER-5
(5 კვტ. 220 ვ.), ფასი 80 $. ტელეფონი: 39-36-78

ᲫᲘᲣᲓᲝ

9 ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲘ, 5 ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ

5-6 თებერვალს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც წლეულს მეორედ ჩატარდა. ასპარეზობაში 22 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. საქართველომ ტურნირზე 9 ძიუდოისტი გააგზავნა. ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მარტყოფლიშვილმა რამდენიმე ცნობა მოგვაწოდა ჩვენი ფალავნების გამოსვლის შესახებ.

60 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში მონაწილე არ გვყოლია: გიორგი რევაზიშვილი ტურნირის წინ წონას იკლებდა, მაგრამ მწვრთნელთა რჩევით მომდევნო, 65 კგ წონაში იჭიდავა. მან ოთხი შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც მეორე ქართველი — ასევე ოთხი მეტოქის დამამარცხებელი გიორგი ვაზაგაშვილი ელოდა. ფინალური შერკინება ერთობ უინტერესოდ მიმდინარეობდა და უფრო გამოცდილმა ვაზაგაშვილმა გაფრთხილების ხარჯზე მოუგო მეტოქეს. ამავე წონაში ასპარეზობდა დავით ფუხაშვილი, მაგრამ პირველივე შეხვედრაში დამარცდა მონღოლ ძიუდოისტთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

71 და 78 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ჩვენებს არ უასპარეზიათ. სამაგიეროდ, 86 კილოგრამამდე ორი მოჭიდავე — ივერი ჯიქურაული და კობა ნადირაძე გამოვიდნენ. სამწუხაროდ, ორივე უმედლოდ დარჩა: ნადირაძეს პირველივე შერკინება წაუგია, შემდეგ მისი მეტოქე ფინალში გასულა და კობას მესამე ადგილისათვის გაუგრძელებია ბრძოლა, მაგრამ იქაც ვერაფერი გაუწყია. ჯიქურაულმა კი პირველ წრეში წმინდად მოუგო ბულგარელ მეტოქეს, შემდეგ კი დამარცხდა ჰოლანდიელთან.

95 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში სამი ძიუდოისტი გვყავდა — რამაზ ჩოჩიშვილი, თამაზ ცოფურაშვილი და მევლუდ ლობჟანიძე. ჩოჩიშვილი და ლობჟანიძე ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ და ფინალში გადასასვლელად ერთმანეთს შეხვდნენ. ჩოჩიშვილმა „ვაზარით“ დაამარცხა მეტოქე, სამაგიეროდ, ფინალში თავად დამარცხდა „ვაზარით“ ყაზახ შაკიმოვთან. თუმცა, ერთი გდება „იუკოთი“ შეუფასეს, როცა, თურმე, აშკარად „ვაზარის“ იმსახურებდა. ლობჟანიძეს კი მესამე ადგილისათვის შეხვედრაში უმარჯვია, და „ბრინჯაოს“ დაპატრონებულა.

მძიმე წონაში ალექსანდრე დავითაშვილი ნახევარფინალამდე კარგად მიდიოდა, მაგრამ იქ მონღოლ ბატირდენესთან დამარცხებული. შემდეგ კი მესამე ადგილის დაკავება აღარ გასჭირვებია.

ჩვენმა პრიზიორებმა მკერდთან ერთად ჯიბეებიც დაიმშვენეს. ფირმამ, რომელსაც ცნობილი ვეტერანი მოჭიდავე ანზორ ქიბროწაშვილი უდგას სათავეში, დარბაზშივე გადასცა ძიუდოისტებს ფულადი ჯილდოები. ჩემპიონს 500 ათასი რუსული მანეთი, მეორე პრიზიორებს — 300-300 ათასი, მესამე პრიზიორებს — 200-200 ათასი.

ამრიგად ცხრა ქართველმა ძიუდოისტმა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე 5 მედალი (1 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს) და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა. ბირველები კი რუსები იყვნენ (1 ოქრო, 3 ვერცხლი, 6 ბრინჯაო), რომლებმაც შეჯიბრებაზე 49 ფალავანი გამოიყვანეს. მესამე ადგილზე ყაზახები გავიდნენ (2 ოქრო), ხოლო მეოთხეზე — უზბეკები (1 ოქრო, 1 ვერცხლი).

მერაბ რატიშვილი

ᲕᲘᲖᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲔᲡ ᲯᲔᲠᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ!



ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

დაიბადა 1969 წლის 15 იანვარს. ვარჯიში 6 წლის ასაკში დაიწყო იური კუკულაძესთან, თბილისის ფიგურული სრიალის სკოლაში. 1993 წელს დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. მისი სპონსორია „შანსი კ.ბ.ს.“

ჭართველმა მოციგურავემ პირველად დაიკავა მეთხუთმეტე ადგილი ევროპის ჩემპიონატზე. ბესარიონ ცინცაძემ ვაჟების ერთეულთა შეჯიბრში აჩვენა ეს შედეგი.

ბესო უკვე ორი წელია, უცხოეთშია. შარშანდელი სეზონი მოსკოვში დაჰყო, წლეულს კი ავსტრიის ქალაქ ლინცში ვარჯიშობს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან, ირაკლი ჯაფარიძესთან, რომელიც მეექვსე წელიწადია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს.

ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების პირველი ეტაპი ბესომ მოსკოვში, ელენა ჩაიკოვსკაიას ხელმძღვანელობით გაიარა. შემდეგ მონაწილეობა მიიღო „ნებელჰორნ ტროფის“ შეჯიბრებაზე გერმანიაში. სექტემბრის ბოლოს ვენაში „კარლ შეფერის“ პრიზზე მესამე ადგილი დაიკავა. ნორვეგიაში, საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პირადად იყო მიწვეული, ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა მისი გამგზავრება.

ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც კოპენჰაგენში ჩატარდა, 39 მონაწილე გამოდიოდა. შედგა საკვალიფიკაციო შეჯიბრება, რომელსაც 24 საუკეთესო უნდა გამოევლინა. იმ 23 სპორტსმენს შორის (ერთი მოციგურავე ტრავმის გამო გამოეთიშა ასპარეზობას), რომლებიც ფინალურ ეტაპზე დაუშვეს, ბესო ცინცაძეც იყო. საბოლოოდ მან მე-15 ადგილი დაიკავა, რაც უთუოდ კარგი შედეგია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ჩემპიონატზე პროფესიონალებიც გამოდიოდნენ.

სამწუხაროდ, წინა მსოფლიო ჩემპიონატზე უიღბლოდ გამოსვლამ არ მისცა ბესოს საშუალება, ლილეჰამერის ოლიმპიადაზე მოესინჯა ძალები.

ამჟამად ბესო ცინცაძე ავსტრიაშია და ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისათვის, რომელიც იაპონიის ქალაქ მაკუხარიში გაიმართება მარტში.

ერეკლე კიკილაშვილი

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲙᲘᲓᲔ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ

შეხვედრა გაზეთ „ითითაადის“ რედაქციაში

მოგზაურს რომ ათასი მოულოდნელობანი ელის, ამაში ალბათ არავინ არაფერია, მაგრამ, აი, თბილისელ ჯუმბერ ლეჟავასათვის, რომელიც ველოსიპედზე დედამიწის გარშემო მოგზაურობას გაუდგა, მთავარი დაბრკოლება ერთი ქვეყნიდან მეორეში შეღწევის ნებართვა გამხდარა. ყოველ შემხვედრაში, ჩვენს მკითხველს ეხსომება, რომ იგი საქართველოს, თურქეთის, კვიპროსის, ისრაელისა და ნაჰარეის გზებზე 9000 კილომეტრის გავლის შემდეგ მოულოდნელად თბილისში გამოგვეცხადა. მაშინ აღმოჩნდა, რომ ჯუმბერ ლეჟავასთვის მარშრუტით გათვალისწინებული მომდევნო შვიდი ქვეყნის ვიზა, რომელიც მოსკოვიდან უნდა ნიელო, ისრაელის დედაქალაქში ვერ მიაწვდინეს და თელავივში უქმად ჯდომას მან თბილისში გადმოფრენა ამჯობინა. თითქმის ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, ვიზების საქმე მოგვარდა და ჩვენი მოგზაური ნოემბრის ბოლოს კვლავ თელავივში გადაფრინდა. იქ ისევ თავის ველოსიპედზე ამხედრდა და შეწყვეტილი გზა გააგრძელა.

ასე დაიწყო მოგზაურობის მეორე ეტაპი. დაიწყო და მას მერე ჯუმბერ ლეჟავას შესახებ აღარაფერი გვსმენია. და აი, როგორც იქნა, ლეჟავას წერილმა თბილისში ჩამოაღწია.

თითქმის იმავდროულად თავად ბატონმა ჯუმბერმაც დარეკა. როგორც ბარათიდან ირკვევა, ამ უშველებელ გზაზე მისი მთავარი დაბრკოლება კვლავ ამა თუ იმ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ფორმალური მხარე გამხდარა.

ასეა თუ ისე, მოდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავასა და მისი ოჯახის წევრთა ნებართვით მის მიერ გამოგზავნილი ბარათის ფრაგმენტებს გავეცნოთ, რომლებიც მსოფლიო მოგზაურის პრესცენტრმა მოგვაწოდა. ვფიქრობთ, მისი გაცნობა ამ მოგზაურობით დაინტერესებულთათვის საინტერესო უნდა იყოს.

— მშვიდობით ჩამოვედი სირიის დედაქალაქ დამასკოში, თუმცა საზღვარზე ბევრი სირთულეები შემექმნა, — წერს მოგზაური საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანს. დამასკოში ღმერთმა მარგუნა ბატონ თემურ მატოიანთან შეხვედრა, რომელიც მესტენდურთა სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი იყო ახლა კი დამასკოში მუშაობს. ამ თბილისელი კაცის დახმარებით აქაური პრესის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ჩემი მოგზაურობის შესახებ სირიის პრესის გამოხმაურებებსაც ბატონ თემური გამოგიგზავნით. მანვე დამაკავშირა სპორტის აქაურ მესვეურებთანაც. მე დიდი მადლობელი ვარ ბატონი თემურისა და მისი მეუღლის, ქალბატონ დიანასი. მათ ამ უცხო მიწაზე ნამდვილი ქართული შეხვედრა მომიწყვეს. ჩემს გასაცნობად ბატონმა თემურმა მოიწვია თბილისელები, 60-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე ალექსანდრე ტუტაკაევი, მრავალი კარგი ტანმოვარჯიშის აღმზრდელი ომარ მიქელაძე და კიეველი მწვრთნელი მიხეილ ავდეევი, რომელიც ახლა სირიის წყალბურთელთა ნაკრებს ავარჯიშებს. მათაც ასევე დიდად შეიწუხეს თავი და თბილად მიმიღეს.

— მე ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ. აქედან გეზს ლიბანისკენ ავიღებ. ძალზე რთული გზის გავლა მელის, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საგამომგონებლო სამეცნიერო-საწარმო ფირმა „თემურ მაისურაძეს“, რომელთანაც ახლა მე ვთანამშრომლობ.

ამ წერილთან ერთად მოვიდა თემურ მატოიანის ბარათიც.

— ბატონ ჯუმბერთან ერთად სულ რაღაც ორდღენახევარი ვიყავით და ყველას თავი შეგვაყვარა, — წერს ლეჟავას შვილებისადმი გამოგზავნილ წერილში მატოიანი. — ჩვენი შეხვედრა მოულოდნელი იყო, განშორებისას კი, როცა დილაადრიან აქ მყოფმა ქართველმა მწვრთნელმა იგი ლიბანში გავაცილეთ, ყველას ცრემლი მოგვადგა. მან გამგზავრებამდე მე მომანდო ამ წერილის დაწერა. ბატონი ჯუმბერი თავს ჩინებულად გრძნობს და გთხოვთ მასზე არ ინერვიულოთ. დარწმუნებულია, რომ გინესის რეკორდებს კვლავ დამყარებს.

თემურ მატოიანთან ერთად „შეროზინის“ ქალთა მონასტერში

— ევროპის ერთ-ერთ ქალაქში ბევრ ადგილზე ბანერებია ჩამოკიდებული, — ამბობს ბატონ ჯუმბერ ლეჟავა. — ეს ბანერები ეუბნებიან ადამიანებს, ეს ჯერ ოლიმპიადა, ეს ჯერ ევროპის ჩემპიონატი, ეს ჯერ ეს, ეს ჯერ ეს.

ტელევიზორით დანახული სუპერბოული

სუპერბოული ანუ ზე-თასი ამერიკული ბურთაობის უპირველესი ჯილდოა. თუ დანარჩენ სამ პროფესიულ სპორტში — კეტბურთში, ჰოკეისა და კალათბურთში ჩემპიონთა ჩემპიონი ოთხ მოგებამდე სერიაში ვლინდება, ბურთაობაში ყველაფერს წყვეტს ერთადერთი თამაში, რომელიც იანვრის ბოლო კვირადღეს ეწყობა.

ამერიკული ბურთაობის გამოგონების თარიღად 1874 წელს მიიჩნევენ. მაშინ მასაჩუსეტსის ქალაქ კემბრიჯში ჰარვარდისა და მონრეალის უნივერსიტეტებს პირველი თამაში გაუმართავთ წესებით, რომლებიც არც ფეხბურთისა ყოფილა და აღარც რაგბისა. 1895 წელს პროფესიულ გუნდებს პირველად უთამაშიათ, 1919 წელს შექმნილა პროფესიული ასოციაცია, რომელიც 1922 წლიდან ბურთაობის ეროვნული ლიგა (NFL) გამხდარა. 1960 წელს შექმნილა ალტერნატიული ამერიკის ლიგა და 1967 წელს ამ ორი ლიგის გამარჯვებულებს პირველად გუთამაშებიათ სუპერბოული. 1970 წელს ლიგები გაერთიანებულან, მაგრამ ერთიან ლიგაში კონფერენციების სტატუსი მაინც შეუნარჩუნებიათ და მას აქვთ სუპერბოულისათვის ეროვნული და ამერიკის კონფერენციების ჩემპიონები თამაშობენ.

ამერიკულ ბურთაობაზე ჩვენში წინათაც ბევრს ლაპარაკობდნენ. წელს კი, თუ არ ვცდებით, პირველად მიეცათ საშუალება მის ქომაგებს ეცქიროთ სუპერბოულისათვის. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც AYETY TV-მა შეძლებულ თბილისელებს ოჯახებში კაბელით შეუყვანა Euro-Sport-ი, რომელიც თავის მხრივ NFL-ის თამაშების ჩვენებისას NBC-სა და Reebok-ს დასეხსნება.

თბილისელებმა სუპერბოული ორჯერ იხილეს, მაგრამ გვკადნიერდებით და ერთი-ორ ჩვენეულ მოსაზრებას მაინც მოგახსენებთ, რაც, რაღა თქმა უნდა, საყვ�არ უნდა მიიღონ საქართველოს კერპის — ფეხბურთის ქომაგებმა.

სუპერბოულის მნახველს პირველი ის მომივიდა თავში, რომ ამერიკულ ბურთაობაზე გაზრდილ მაყურებელს ჩვენებური და გინდაც ევროპულ-ლათინურამერიკულ-აფრიკული ფეხბურთი ძნელად თუ დაიინტერესებს. ამერიკულ ბურთაობაში მთელი თამაშის მანძილზე ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული მოედნის ყოველი მტკაველისათვის, გუთავებული ფიზიკური კონტაქტი და შეხლა-შემოხლაა და დაძაბულობა ხშირ-ხშირი პაუზებისა თუ ორწუთიანი ტაიმ-აუტების დროსაც კი არ ნელდება. ამის ფონზე ფეხბურთი მდარე სანახაობად ჩანს ზოგჯერ მოთამაშეებით, განდგან ძუნძულით, ბურთის აქეთ-იქით ტარებითა და გადაწოდებით და საჯარიმოში უპრესპექტივო ჩაწოდებებით.

ამერიკულ ბურთაობაში მოედანზე ომი კი იყო, მაგრამ მძიმედ დაშავებული არავინ შეგვინიშნავს. მოთამაშეებიც ერთობ ვაჟკაცურად იქცეოდნენ. ერთი ეგ იყო, რომ ცოტას მსახიობდნენ კიდეც, რაკიღა კარგად უწყოდნენ, ტელევიზორებით მთელი მსოფლიო რომ აღევნებდათ თვალს. ამის ფონზე საწყლად და საძრახისად მოგვეჩვენა ფეხბურთელთა ხშირ-ხშირი სიმულანტობა, მოედანზე რომ წამოწვებიან მსაჯისთვის პენალტის გამოსათხოვად.

ვფიქრობთ, ამგვარი შედარება არ უნდა იწყინონ ფეხბურთის თაყვანისმცემლებმა. ჩვენ ამას რიდი ვქადაგებთ, ფეხბურთი ჯერაფერი სპორტი ყოფილა, ამიტომ მასზე გული ავიყაროთ და ამერიკული ბურთაობა შევითვისოთო. არა, ჩვენ ოდენ შევნიშნეთ, რომ ბურთაობაც კარგი თამაშია.

ნაკლი, რაღა თქმა უნდა, ბურთაობასაც აქვს. ესაა მისი წყვეტილობა და ერთფეროვნება. სათამაშო ეპიზოდი მაქსიმუმ ათ წამს გაგრძელდეს. ჰოკეისა არ იყოს, თამაშის განახლების ხერხიც ერთადერთია — ე.წ. დაუნი, რომლის დროსაც შემტევი გუნდის შეიდი და დამცველი გუნდის ექვსი მუტრეკი ერთმანეთის პირისპირ ძაღლებივით დაიყუნცება, შუათან მოიერიშე კი, უკაცრავად ამის თქმაზე, მიწაზე დებულ ბურთს საკუთარ გაშლილ ფეხებს შორის მისცემს უკანალს უკან მოწყობილ გუნდის ტვინს — ე.წ. კვორტერბეკს, რომელიც ამერიკელთა რასისტობის გამოისობით ყოველთვის თეთრკანიანია. კვორტერბეკი მყის აცუნდრუკდება, რაკიღა მეტოქეთა მიერ გაქელვისა ეშინია, თუმცაკი მის წინ მოკალათებულ ჯელებს სწორედ ის ევალებათ, რომ ესოდენ სპატიო კაცთან არავინ მიუშვან.

კვორტერბეკს ორი არჩევანი აქვს: ერთი, რომ გრძელი პასით ბურთი შორსა და წინ მიაწოდოს ფეხბურთის გარეშარეების დარად გახსნილ ჰაბეკებს, ანაც ბურთი იქვე შეაჩეჩოს კამეჩივით რანინგბეკს (მარბიელს), რომელიც წინ ჯიქურ გაქანდება და მის წინ მოწყობილი თანაგუნდელების მიერ შექმნილ დერეფნებში განავარდებით ეცდება ბურთის წინ წაწევას.

ბურთის წინ წაწევა არსებითია, რაკიღა გუნდმა ზედიზედ ოთხი დაუნის განმავლობაში ათი იარდით წინ თუ არ წაიწია, მსაჯები ბურთს ჩამოართმევენ. ოთხი დაუნის განმავლობაში ერთხელაა ნებადართული ბურთის წინ გადაცემაც.

იმის გამო, რომ მოედანი ერთობ ვიწროა — სიგანეში სულ 50 იარდია, თამაში მთლად გასწორხაზოვანებულია და ძალისმიერ მიძალებაზეა აგებული. თუ ბურთი მიწას შეეხო ან უძრავი შეიქნა, თამაში ჩერდება და მორიგი დაუნი ინიშნება. ბურთი ერთთავად შემტევს უნარჩუნდება — გინდ კიდეზე გადასულიყოს, არაზუსტი გადაცემის შედეგად თუ ბურთით განავარდების დროს. ამიტომ მეტოქისათვის ბურთის წართმევა-ერთობ ძნელია.

თამაში აზარტული კია, მაგრამ მაინც





კოვბოი მარბიელი სმითი (22) შეუბოჭავთ

შაბლონურია. დერეფნების შექმნისა და მარბიელის თამაშში ჩართვისათვის გუნდებს ათასზე მეტი (!) კომბინაცია ჰქონიათ დამუშავებული. მოთამაშეთა სპეციალიზაცია ჭეშმარიტად ამერიკულია: ერთი შემადგენლობა თამაშობს შეტევაში, სულ სხვა — დაცვაში. დაცვაში თამაშს ცალკე მწვრთნელი ხელმძღვანელობს. იგი, როგორც წესი, ტრიბუნაზე, მაღლა ზის და რადიოგადამცემით აძლევს მითითებებს რადიომიმღებებით აღჭურვილ დამცველებს.

ლაღად ბურთაობა იშვიათობაა. იგი მაშინ თუ გაიმართება, დამცველებს შემთხვევით რომ ჩაუარდებათ ბურთი, ანაც თამაშის განახლებისას ან მეოთხე დაუნის დროს გუნდი ბურთს ფეხით რომ გაგზავნის მეტოქის ზურგში. სამაგიეროდ, ერთობ ხშირია სოლური იერიშები და შეხლა-შემოხლა.

ხშირად გვხმენია, ამერიკული ბურთაობის ყოველი თამაში ჭეშმარიტი შოუაო. მაშინ, რა გასაკვირია, თუ 30 იანვარს ატლანტის „ჯორჯია დოუმში“ გამართული XXVIII სუპერბოული შოუთა შოუ იქნებოდა.

თამაში დალასის კოვბოებმა 30:13 მოუგეს ბუფალოელ ნისკარტებს. მატჩის ბოლო ორ წუთში მათი გამარჯვება უკვე აღარავის აეჭვებდა და ზეიმიც ნაადრევად დაიწყო. ზანგი მოთამაშეები ტელეკამერების წინ იმანჭებოდნენ და საზოგადოებას მუშტებს უსამსად უღერებდნენ, კლუბის თეთრკანიანი პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი ჯერი ჯოუნსი კი ტრიბუნიდან აცრემლებული ჩაიჭრა მოედანზე და ასევე თეთრკანიან ფუნთუშა მწვრთნელს — ჯიმი ჯონსონს გადაეხვია. ამას ყურსაცავებიც კი წაართვეს, გუნდს შენი ხელმძღვანელობა რაღად უნდაო. მოთამაშეებმა საიდანღაც მოათრიეს წყლით სავსე უშველებელი ჯამი და მწვრთნელს მისი შავთავსი თავზე გადაასხეს, მერე კი სახელდახელოდ რაღაც გვირგვინიც კისერზე ჩამოაცვეს. ამაოდ იხვეწებოდა მწვრთნელი, ბოლო წამებისათვის მაყურებინეთო. ბოლოს მას მსაჯები გამოექომაგნენ და ფოტორეპორტიორთა ალყიდან გამოიაგდო და 6:3 დაწინაურდა. ფილდგოლი სამ ქულად ფასობს. მის გატანას მაშინვე გადაწყვეტენ, როცა მეტოქის ნახევარზე მოუწევს გუნდს მეოთხე დაუნი, მაგრამ ლელოს გატანის იმედი გადაეწურება. ამ დროს მოედანზე უხმობენ დამრტყმელს, მწყობრიდან მიღებულ ბურთს კვორტერბეკი მიწაზე დადებს და დამრტყმელიც ბურთს რაგბის ყაიდაზე დაარტყამს კარიესკენ, რომელიც ლელოს უკანა ხაზზეა გადმოკიდებული.

მეორე პერიოდში ბუფალო მეტად დაწინაურდა. კვორტერბეკმა ჯიმ კელიმ კარგად ათამაშა მარბიელი სერმან თომასი და მრავალზისი რაშით (წინ გაჭრით) ლელოც გაატანინა. ლელო ექვს ქულად ფასდება, რის შემდეგაც რაგბის გარდასახვის ანალოგიური ექსტრაპოინტის (ერთი ზედმეტი ქულის) შოვნის ჯერი დგება. ამ დროს დაუნი სამიარდიან ხაზზე მოეწყობა, მერე კი კარში ჩვეულებრივად დაარტყამენ. აქვე შევნიშნოთ, რომ 100-იარდიანი მოედანი ერთიანად დალიანდაგებულია. ხუთი და ათიარდიანი ხაზებით, ხოლო ყოველი სხვა საშუალედო იარდიც სათანადო შტრიხით არის მონიშნული, რაც ერთობ აადვილებს თამაშის აღწერას.

ბუფალო 13:3 იგებდა, მაგრამ პერიოდისა და პირველი ნახევრის ბოლო წამზე დალასმა ფილდგოლი გაიტანა 6:13. მესამე პერიოდი ისევ ბუფალოს იერიშით დაიწყო, მაგრამ პირველივე წუთის ბოლოს დრამა დატრიალდა: მორიგი რაშის დროს თომასს ბურთი ხელიდან გაუსხლტა 20-იარდიან ხაზთან, იგი იხელთა დალასელმა ჯეიმზ ვოშინგტონმა და თანგუნდელთა მიერ უნარიანი ბლოკირების წყალობით ზიგზაგებით მეტოქის ლელოში შეაღწია, ექსტრაპოინტის მერე კი ანგარიში გათანაბრდა 13:13.

ბუფალოს ხასიათი წაუხდა, დალასმა კი თავისი მარბიელი, თომასივით ზანგი ემიტ სმითი ათამაშა. კვორტერბეკი ტრიი ეიკმანი მას წამდაუწუმ აჩეჩებდა ბურთს და ზედიზედ რაშის შედეგად სმითმაც, ვისი მამაც თორმე 43 წლის ასაკამდე მობურთაობდა, ლელო გაიტანა და საზოგადოდ ერთობ თავშეკავებულმა ვაჟკაცმა შემზარავი სიფათები შეკერა — 20:13 დალასის სასარგებლოდ.

კოვბოები ამზთ არ დაკმაყოფილებულან. ბუფალო კელითა და თომასითურთ უბრთოდ დარჩნენ. ვოშინგტონმა კელის თავი მოჭრა — გრძელი პასი ჩაუჭრა. არადა, კელის თურმე ასეთი სირცხვილი უკანასკნელად 16 თამაშის წინ შემთხვევია. მერე და მერე დალასის ჰაბეკმა ჰარპერმა მესამედაც მიიღო ეიკმანის გრძელი პასი და დალასს ოთხ დაუნში ლელოს გატანაც დაეკისრა, რაც სმითმა იოლად მოახერხა მესამე გათამაშებისას. თამაშის ბოლომდე კოვბოები კიდევ ერთხელ მიეახლნენ ბუფალოს ლელოს ხუთი იარდით, მაგრამ ლელო (ტაჩდაუნი) რომ ვერ გაახერხეს, ფილდგოლს დასჯერდნენ 30:3.

ამრიგად, ეროვნული კონფერენციის ჩემპიონმა ბოლო 11 სუპერბოულში მე-10-ჯერ გაიმარჯვა, ბუფალოს კი ბოლო თამაშში ზედიზედ მეოთხედ მოეცარა ხელი, რაც თორმე ოთხივე ამერიკულ პროფესიულ სპორტში უიღბლობის უმაგალითო შემთხვევა ყოფილა.

კოტე იაშვილი

აქეთური, იქეთური

„მას რაზმი“, ანუ გრძელ ბურთებზე ამერიკელი ქალები ევროპაში ხშირ-ხშირი ასპარეზობით თურმე დიდძალი ფულის მოხვეჭას აპირებენ. ჩინელები დანამდვილებით ასპარეზებენ ლონდონის მარათონში (აპრილში), სტოკჰოლმის გრან-პრიზე (ივლისში) და მსოფლიო თასზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება ლონდონის „კრისტოლ პელისზე“.

*

გოლფის ამერიკულ ტურში სენსაცია მოხდა. კალიფორნიაში პებლ-ბიჩის პროფესიონალთა ტურნირი მოიგო ამერიკისა და ბრიტანეთის ღია პირველობების ყოფილმა გამარჯვებულმა, 46 წლის ჯონი მილერმა, რომელსაც 1989 წლის შემდეგ ტურში სულ ხუთჯერ უთამაშნია, ბოლო დროს კი ტელეკომენტატორად მუშაობს. მართალია, მილერს ბოლო წრეზე ხელი მოეცარა და ნორმაზე ორით უარესი შედეგი ჰქონდა, მაგრამ ოთხი წრის ჯამში ერთი დარტყმით მაინც აჯობა ტომი ვოთსონს, რომელსაც ბოლო ხუთი ორმოს წინ ორი დარტყმით ჩამორჩებოდა. ცივსა და ქარიან ამინდში ვოთსონს სამ ორმოზე მაჯლაჯუნა შეემთხვა და პლეი-ოფს გამოაკლდა. როგორც მილერს უთქვამს, ვოთსონის ჯობნას ახლა კი არა, ამ ხუთი წლის წინათაც კი ძლივს შეეძლებდიო.

*

წინა უქმეებზე სიდნეიში საქველმოქმედო შეჯიდკაცის პარალელურად მეეწყო ლიგის რაგბის საერთაშორისო შეჯიდკაცაც. უნდა ითქვას, რომ ლიგის რაგბმა შვიდკაცას გამართვის იდეა ამ სამი წლის წინ აიტაცა, თორემ მანამდე ცხრაკაცა მიაჩნდა თამაშის სალაღობო გარიანტად. წელს სიდნეიში 11 უცხოური ნაკრები და ვინფილდის თასის მონაწილე 13 ავსტრალიური კლუბი შეიკრიბა. ამ უკანასკნელთა შორის არ იყო მსოფლიოს უძლიერესი კლუბი „ბრისბენ ბრონკოუზი“. შეჯიბრება სამ დღეს მიმდინარეობდა. 24 მონაწილე თავიდან სამ-სამგუნდიან რვა ქვეჯგუფად დანაწილდა, მერე კი გამარჯვებულებმა თასი გაითამაშეს, მეორე ადგილზე გასულებმა — „ტროფი“, მაჩანჩალებმა კი — სინი. ოსისთვის ერთმანეთს ეჯიბრნენ ახალი ზელანდია, ტონგა, ფიჯი, სამოა და „სენთ-ჯორჯი“, „ნიუკასლი“, „ისთსი“ და „მენლი“. ფიჯმა და სამოამ ამ ბოლო ხანს კარგად შეითვისეს ლიგის რაგბი და სიდნეიში ნახევარფინალსაც მიაღწიეს, მაგრამ დამარცხდნენ, თასი კი მოიგო „მენლიმ“, რომელმაც „სენთ-ჯორჯი“ დამამარცხა 44:12. სხვა უცხოური გუნდებიდან მაპუასეთმა „კანბერასთან“ წაიგო „ტროფის“ ფინალს, საფრანგეთი და რუსეთი (!) კი ფინალამდე გავარდნენ. სინისთვის დიდმა ბრიტანეთმა, აჯობა აშშ-ს, სამხრეთ აფრიკასა და იაპონიას, ფინალში კი „ბალმეინ თაიგერზს“ მოუგო.

*

19 მარტს მილუოლის (ინგლისი) საფეხბურთო სტადიონზე უნდა გაიმართოს კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ვერსიით მძიმეწონოსანთა მსოფლიო პირველობის შერკინება, რომელშიც ამერიკელი ჩემპიონი მაიკლ ბენთი ინგლისელ პრეტენდენტ ჰარბი ჰაიდს უნდა შეეჯიბროს. მომავალმა მეტოქეებმა ერთმანეთს უკვე გაუსინჯეს მკლავის ძალა იანვარში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, როცა შელაპარაკდნენ და ერთურთს მუშტები დააყარეს. ბრიტანეთის კრივის საბჭომ უგვანო საქციელისთვის, რომელმაც კრივის იმიჯს ჩირქი მოსცხო, მოკრივეები ათ-ათი ათასი გირვანქით დააჯარიმა, ჰაიდი კი გააფრთხილა, რომ თუ კიდევ მოიქცევა უწესოდ, მოკრივის ლიცენზიას ჩამოართმევენ. მოკრივეებს განაჩენის გასასაჩივრებლად ორკვირიანი ვადა დაუნიშნეს. ჰაიდის მენეჯერმა ბარი ჰერნმა განაცხადა, შეგირდის ჯარიმას გადავიხდი, ოღონდ გასამრჯელო არ მოაკლდესო. გარდა ამისა, ორივე ბანაკმა გააკრიტიკა საბჭო: მოკრივეთა საქციელში სასკანდალო ვითომ რა შენიშნესო(?!)

*

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „პიტსბურგ პინგვინზის“ 28 წლის ფორვარდმა მარიო ლემიემ განაცხადა, რომ თამაშს საბოლოოდ ანებებს თავს, რაკიღა ხერხემალში ფირფიტის ჩადგმის მიუხედავად მაინც გაუთავებლად სტკივა ზურგი. ლემიემ ამ სეზონში მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა. შარშან მას კიბოს მსუბუქი ფორმა დაუდგინეს, მაგრამ სტენლის თასის დაწყების წინ სწაულებრივ განიკურნა და ახლა რეს დაუბრუნდა.

აქეთური, იქეთური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით

ინდექსი 66441

რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი 380079, ს/ყ 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ნოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)